საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 4 აპრილი, 2015 წელი.

№63 (7708)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

ბაქიბუქი, პაკიპუკი და ფეისბუქი

ანუ ვინ არის ელისო კილაძე?!

4

დახმარებით კი გვეხმარებიან, მაგრამ

3 ## ჩვენც ხომ უნდა ვივარგოთ?!

ევროკავშირი დაბეჯითებით მოითხოვს აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის შესახებ კანონის ლიბერალიზაციას

8

ძვირფასი საფლავები შეგვარიგებს...

6
7

რაც ბოლნისის საწარმოსთან მიმართებაში მოხდა, დივერსიაა

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, კომპანია „არემჯისთვის“ ხელისშეშლა დივერსიაა და ამით სამართალდამცავები უნდა დაინტერესდნენ. ამის შესახებ ირაკლი ღარიბაშვილმა მარნეულში ახალი სამთავრობო პროგრამის: „ძლიერი რეგიონი ძლიერი საქართველოსთვის“ პრეზენტაციაზე განაცხადა.

„მე ვიცი, რომ დიდი პრობლემები შეექმნა ბოლნისში კომპანია „არემჯის“, სადაც მუშაობს 3000 ოჯახი. მთელი ბოლნისის რაიონი დამოკიდებულია ამ კომპანიის მუშაობაზე. 2012 წელს 20 მილიონი ლარის შემოსავალი ჰქონდა ბოლნისის რაიონს. გასულ წელს მთლიანად ცენტრალურმა ბიუჯეტმა დააფინანსა ბოლნისის რაიონი, იმიტომ, რომ კომპანია აბსოლუტურად პარალიზებული იყო, გაჩერებული იყო სამუშაოები. 3000 ოჯახის შენახვას მილიონობით ლარი სჭირდება. მე მაინტერესებს უბრალოდ, ამ ადამიანებს თუ აქვთ გააზრებული რამხელა პასუხისმგებლობას იღებენ საკუთარ თავზე. რა თქმა უნდა, მათ არც პასუხისმგებლობა გააჩნიათ, არც გააზრებული აქვთ ის რისკი, რომლის წინაშეც ეს 3 ათასი ოჯახი დგას. ეს არის ყოვლად უპასუხისმგებლო დამოკიდებულება და მე ვიტყოდი ანტისახელმწიფოებრივიც, ჩვენი მოქალაქეების წინააღმდეგ მიმართული ქმედება. რაც მოხდა ბოლნისის საწარმოსთან მიმართებაში, რაც ხდება რუსთავის მეტალურგიული ქარხნის წინააღმდეგ, ეს არის პირდაპირი დივერსია და ამით უნდა დაინტერესდნენ სამართალდამცავი ორგანოები“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

მაქსიმალურად გამოიყენეთ ქვემო ქართლის პოტენციალი!

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ბიზნესმენებს ქვემო ქართლით დაინტერესებისკენ მოუწოდებს. როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, მთავრობას აქვს ძალიან კარგი საფუძველი, რომ ქვემო ქართლში საინტერესო ბიზნესპროექტების განსახორციელებლად და ამას მიმდინარე საინვესტიციო პროექტებიც მოწმობს.

ღარიბაშვილის განცხადებით, რუსთავში, მარნეულსა და გარდაბანში განსახორციელებელი პროექტების საინვესტიციო ღირებულება 38 მილიონ ლარს შეადგენს. პრემიერ-მინისტრმა მიმართა ბიზნესმენებსაც.

„მე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და კიდევ ერთხელ დაგიდასტუროთ ჩემი ღრმა პატივისცემა. თქვენ გაქვთ ამ რეგიონში საინტერესო ბიზნესპროექტების განხორციელების შესაძლებლობა. მინდა, კიდევ ერთხელ მოგიწოდოთ, რომ ეს შესაძლებლობა მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყველამ ერთად, ჩვენ და თქვენ ერთად. ჩვენ მაქსიმალურად მხარში დაგიდგებით.

ეს იქნება მეწარმეთა მაქსიმალური ხელშეწყობა ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაცია, 1 ლარად გადაცემა, ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების უზრუნველყოფა ჩვენს ხარჯზე, ბუნებრივ რესურსებზე წვდომის ურზუნველყოფა.

ჩვენი საერთო ამოცანაა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას დავეხმაროთ. მე მჯერა, რომ ერთობლივად ჩვენ ძალიან ბევრ პროექტს განვახორციელებთ“, — განაცხადა პრემიერმა.

მკითხველთა საყურადღებოდ!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია 6 აპრილიდან ახალ მისამართზე განაგრძობს მუშაობას - მაჩაბლის ქ. №7, (სოლოლაკი, მაჩაბლისა და ლერმონტოვის ქუჩების გადაკვეთაზე).

ტელ: 2 93-37-87; 5 99 79-76-79; 5 68 82-09-84.

◎ ინფორმაცია

პრემიერთან ქვემო ქართლის პრობლემებზე იმსჯელეს

ქვემო ქართლის რეგიონში მიმდინარე პროექტებზე ისაუბრა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ქვემო ქართლის გუბერნატორთან, რაიონების გამგებლებთან და რუსთავის მერთან გუშინდელ შეხვედრაზე.

მთავრობის მეთაურმა მოისმინა ინფორმაცია ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შესრულების შესახებ და მათ გააქტიურებისკენ მოუწოდა.

ირაკლი ღარიბაშვილმა გამგებლებს ახალი სამთავრობო პროექტის — „ძლიერი რეგიონი — ძლიერი საქართველოსთვის“ დეტალები გააცნო და მიმართა, მაქსიმალური მხარდაჭერა აღმოუჩინონ ბიზნესის წარმომადგენლებს, რათა განვითარდეს წარმოება, შეიქმნას მეტი სამუშაო ადგილი და რეგიონი გაძლიერდეს.

სამუშაო შეხვედრები რაიონების გამგებლებსა და მერებთან გაიმართება ყველა რეგიონში, სადაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი ახალი სამთავრობო პროგრამის პრეზენტაციას გამართავს.

ჩამოეწერათ უკანონოდ დარიცხული თანხები

საჯარო სხდომაზე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ მოქალაქეებს ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების კომპანიების მიერ 20 000 ლარამდე უსაფუძვლოდ დარიცხული თანხები ჩამოაწერა.

საჯარო სხდომაზე კომისიამ იმსჯელა მოქალაქეებსა და შპს „ყაზტრანსგაზ თბილისს“, სს „თელასსა“ და შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ შორის არსებულ დავებზე.

სემეკი შეახსენებს მოქალაქეებს, რომ იმ შემთხვევაში თუ ხდება მათი უფლებების დარღვევა ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების კომპანიების მხრიდან, მიმართონ სემეკს ან სემეკთან არსებულ ენერგოომბუდსმენის სამსახურს. მოქალაქეებს კონსულტაციების მიღება შეუძლიათ როგორც ცხელ ხაზზე 2420180, ასევე კომისიის Facebook გვერდის საშუალებით.

◎ ფულადი გზავნილები

წლეულს უფრო ცოტას ვიღებთ, უფრო მეტს გავცემთ

ბოლო დროს, როცა კი ლაპარაკი ლარის კურსის უპრეცედენტო შემცირების შიდა თუ გარე მიზეზებზე იწყება, სხვათა და სხვათა შორის აუცილებლად ქვეყანაში კერძო უცხოური ფულადი გზავნილების მოცულობის საგრძნობ შემცირებას ვასახელებთ ხოლმე. ის არც ისე გასაკვირია, ვინაიდან საქართველოში — და არა მარტო ჩვენში, თითქმის ყველა განვითარებად ქვეყანაში, უცხოეთიდან კერძო ფულადი გზავნილების მოცულობა სიდიდით ლამის უცხოური დონორი სახელმწიფოებისგან თუ ორგანიზაციებისგან მიღებულ გრანტებს, ინვესტიციებსა და საკრედიტო ხაზებს ჭარბობს! თანაც, იმ პირობებში, როცა მსოფლიოს გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის შემდგომი შოკების მოქმედება ჯერ კიდევ საკმაოდ საგრძნობია, რასაც თავის მხრივ, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მიმდინარე საომარი მოქმედებები, მთელი რიგი ქვეყნის მიმართ დაწესებული ეკონომიკური სანქციები ემატება, საქართველოსნაირ განვითარების გზაზე მდგარი ქვეყნისთვის ვალუტის შემოდინების ნებისმიერი წყარო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამასთან, უცხოეთიდან კერძო ფულადი გზავნილების როლი განუზომლად უფრო დიდია თავად მიმღები ოჯახების უმრავლესობისთვის, რადგან საყოფაცხოვრებო საქონელსა და მომსახურებაზე ფასების განუხრელი ზრდის, უმუშევრობის უმაღლესი დონისა და მწირი სოციალური დაცულობის პირობებში, საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი ფული მრავალი ჩვენი თანამემამულისთვის თავის გატანის ერთადერთი იმედიღაა.

თუ რაოდენ დიდია სხვადასხვა განვითარებადი ქვეყნის მოსახლეობისთვის უცხოეთიდან კერძო ფულადი გზავნილების მნიშვნელობა, ამას მსოფლიო ბანკის თუნდაც ის ცნობა ცხადჰყოფს, რომ 21-ე საუკუნის დამდეგიდან მოყოლებული, ფულადი გზავნილების რიცხოვნობაც და თანხების ოდენობაც განუხრელად იზრდება.

სავსებით გასაგებია, თუ რა როლს ასრულებს ფულადი გზავნილები პოსტსაბჭოთა სივრცეში, ვინაიდან ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების უმრავლესობაში, შრომის დაბალი ანაზღაურების გამო, უცხოეთში სამუშაოდ წასვლა ბევრისთვის საკუთარი თავისა და ახლობლების გადასარჩენად გადადგმული ნაბიჯის ტოლფასი მოქმედებაა. ასეთი განმარტება ზოგს იქნებ გადაჭარბებულად მოეჩვენოს, მაგრამ ჩვენი მოსახლეობისთვის უცხოეთიდან კერძო ფულადი გზავნილების მნიშვნელობაზე წარმოდგენა უფრო სრულად რომ შეგექმნათ, პატივცემულო მკითხველო, რამდენიმე სტატისტიკურ მონაცემს მოვიშველიებთ. იმის გამო, რომ შარშანდელი სტატისტიკური მონაცემები წლის პირველი ნახევრის მიწურულს იქნება ცნობილი, ამიტომ წინა წლის მაჩვენებლებს მოგაწვდით, თუმცა კი ამით საერთო სურათი არსებითად არ შეიცვლება. **2013 წელს საქართველოს მთლიანმა შიდა პროდუქტმა 26,8 მილიარდი ლარი შეადგინა, საიდანაც უცხოეთიდან კერძო ფულად წმინდა გზავნილთა ოდენობამ 2,5 მილიარდ ლარს მიაღწია, რაც მეტად მაღალ 9,3 პროცენტს შეადგენს** (წმინდა გზავნილები — ესაა სხვაობა ჩვენთან რიცხულ და ჩვენგან გადარიცხულ მთლიან თანხებს შორის — **რედ**.).

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, წლეულს თებერვალში უცხოეთიდან კერძო ფულადი გზავნილების თანხა დაახლოებით 82 მილიონი დოლარია. აქედან **რუსეთიდან** გადმორიცხულია 28,17 მილიონი დოლარი, **საბერძნეთიდან** — 13,72 მილიონი დოლარი, **იტალიიდან** — 8,96 მილიონი დოლარი, დანარჩენი სხვა ქვეყნების წილად მოდის, რის შესახებ უფრო დეტალურად ცოტა ხნის წინათ გვქონდა ლაპარაკი. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ უკრაინისა და რუსეთის სამხედრო დაპირისპირება რეგიონის ქვეყნების, მათ შორის, ცხადია, საქართველოს ეკონომიკაზე, მეტად უარყოფით ზეგავლენას ახდენს, მათ შორის იქიდან კერძო ფულადი გზავნილების მხრივაც. **თუ წლევანდელი თებერვლის „მაჩვენებელს“ წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს შევადარებთ, დავინახავთ, რომ ჯამში უკრაინიდან და რუსეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების ოდენობა თითქმის განახევრებულია.**

თუმცა ისიც ვიცით, რომ გარდა „მარჩენალებისა“ საქართველოში ბევრ ოჯახს უცხოეთში ასევე ისეთი ახლობლებიც ჰყავთ, ვისაც დახმარების გაწევა იქით სჭირდებათ, ვთქვათ, სასწავლებლად წასულ შვილებს. ამიტომაც, ბუნებრივია, ფულადი გზავნილები ჩვენგანაც მიდის. **წლევანდელ თებერვალში, კერძო ფულადი გზავნილებით, საქართველოდან საზღვარგარეთ მთლიანად 14,6 მილიონი დოლარი გადაირცხა, რაც შარშანდელ ანალოგიურ მაჩვენებელზე 16 პროცენტით მეტია.**

აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ფულადი გზავნილების მიღება-გაგზავნის ოპერაციებს საქართველოს ყველა კომერციული ბანკი ახორციელებს, თუმცა კი ლიდერი „ლიბერთი ბანკია“. მოწინავე სისტემების ლიდერები, ორივე მიმართულებით, **„ზოლოტაია კორონა“, „ვესტერ იუნიონი“** და **„იუნისთრემი“** არიან.

ოთარ ტურაბელიძე

◎ წამლის პირველი სასახლეები საქართველოში

ასე იქმნებოდა ქართული ფარმაციის ისტორია

ფარმაცია 21-ე საუკუნის საქართველოში საკმაოდ მაღალ დონეზეა განვითარებული და მომგებიან ბიზნესად მიიჩნევა. დარგის წარმატებაზე მიუთითებს ჩვენს ქვეყანაში ყოველ ფეხის ნაბიჯზე გახსნილი სააფთიაქო ქსელები. წამალზე მოთხოვნა რომ ყველა დროში დიდია, ეს ძველი ამბავია. თუმცა, ალბათ ცოტას ეცოდინება, თუ როგორ და რომელ საუკუნეებში იწყება ქართული ფარმაციის ისტორია.

ქართული ფარმაციის ისტორიას ქართველი ისტორიკოსები, მედიკოსები და მეცნიერები პირობითად სამ ეტაპად ყოფენ: ძველი, ახალი (საბჭოთა) და უახლესი პერიოდი. ყველაფერი კი წამალთმცოდნეობით, ჩვენს წელთაღრიცხვამდე იწყება. წამალთმცოდნეობა საქართველოში ოდითგანვეა ცნობილი. ისტორიულად, მეფე აიეტის დროს, კოლხეთში, სამკურნალო მცენარეთა ბაღები იყო გაშენებული. მცენარეთა საიდუმლო თვისებებს იცნობდა აიეტის მეუღლე ჰეკატე და ასევე მისი ქალიშვილი მედეა.

წამლების შესანახად შესაბამისი ადგილი — წამლის სახლი იყო საჭირო. ჩვენი ერის ძნელბედობის გამო, საქართველოში პირველი აფთიაქების არსებობის შესახებ, სამწუხაროდ, ბევრი ცნობა არ არის შემორჩენილი. თუმცა, რაც შემორჩა, იქიდან ირკვევა, რომ ქვეყანაში აფთიაქის ცნებას დიდი ხნის ისტორია აქვს და ის უნიკალური ციხე-ქალაქების, ვარძიისა და უფლისციხის სახელს უკავშირდება...

როგორც ცნობილია, ვარძიის მშენებლობა 1156 წელს დაიწყო გიორგი მესამემ და 1204 წელს თამარ მეფემ დაასრულა. ამ კომპლექსში ყურადღებას იქცევს მე-6 სართულზე მდებარე აფთიაქი. აფთიაქის პირობითი ნომერია 70. მას ესაზღვრება №69 და №68 ოთახები, რომლებიც დამხმარე სათავსოები უნდა ყოფილიყო. №70 ოთახის სიგრძე 4,5 მეტრია, სიგანე 4,30 მეტრი, სიმაღლე 2,10 მ. მთლიანი ფართობი 19,35 კვ/მ, ხოლო სამივე ოთახის სავარაუდო ფართობი 60 კვ. მ-ია.

ვარძიის წამლის სასახლეში აღმოსავლეთ კედელზე დამზადებული წამლების შესანახად გამოკვეთილი 91 თახჩაა, ჩრდილოეთზე — 67, დასავლეთზე — 44, სამხრეთზე — 19, სულ 221 ე.წ თახჩაა (ანუ სათავსო, იგივე კარადა). გარდა ამისა, იატაკში ამოთხრილია 14 ორმო, რომელშიც შესაძლოა მცენარეულ ნაყოფს წნეხდნენ ან აქუცმაცებდნენ. სამხრეთ კედელზე არის სათავსო, სადაც შესაძლოა მოტეხილობისათვის საჭირო არტაშანებს ინახავდნენ. ამოთხრილ ორმოებში თავსდებოდა 20-30 კგ ტევადობის კერამიკის ან სხვა მასალისაგან დამზადებული ჭურჭელი, რომელშიც წამლის მოსამზადებელი კომპონენტები ან ნაზავები ინახებოდა. თახჩებზე მოთავსებული ჭურჭელი კერამიკულიც იყო, ფაიფურისაც და მინისაც. სააფთიაქო ჭურჭლის სახელწოდებანი კი ამ დროს ასეთია: ჯამი, ჭიქის ჭურჭელი, კოჭობი — თიხის ქოთანი, საწური, ქვის ქოთანი, თანგირა (სპილენძის ქვაბი), როდინი და სხვა. არსებობდა წამლის ფორმების ნაირსახეობაც: აბი, ფხვნილები, სალბუნი (მალამო), ყურსი (ტაბლეტი), მაჯუმი (სხვადასხვა სახის ნარევი რთული წამლის ფორმა), თრიაყი (შხამსაწინააღმდეგო საშუალება მოწამვლის დროს), მათბუხი (გამზადებული ნახარში) და ა.შ.

თუმცა, ამავე ისტორიული წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ ვარძია არ ყოფილა წამლის პირველი სასახლე საქართველოში. უფლისციხეში №48 და №86 ოთახებში ვარძიის თახჩების მსგავსი 28-მდე თარო შეიმჩნევა, რაც აქ წამლის სახლის — აფთიაქის არსებობაზე მიუთითებს. გარდა ამისა, ზედა ვარძიის გამოქვაბულშიც, რომელიც მტკვრის ხეობაში, ერუშეთის მთებშია და ვარძიის ძირითადი კომპლექსისგან 3 კილომეტრითაა დაშორებული, არის ვარძიის წამლის სასახლის მსგავსი სამოთახიანი წამლის სახლი, სადაც წამლის შესანახი 30-მდე კარადაა შემორჩენილი. იგი აშენებულია 1042-1058 წლებში ლიპარიტ II ბაღვაშის დროს.

სად და როდის გაიხსნა საქართველოში პირველი აფთიაქი, დღეს ძნელი სათქმელია, ზუსტი თარიღი ისტორიკოსებს ჯერჯერობით არ დაუდგენიათ. თუმცა, ცნობილია თარიღები საქართველოს ახალი ისტორიიდან. ამბობენ რომ, თბილისში პირველი აფთიაქი 1740 წელს კათოლიკე მისიონერებმა გახსნეს და მას დედაქალაქელებმა „წამალთხანა“ უწოდეს. 1805-1806 წლებში კი თბილისში სახაზინო აფთიაქიც გაიხსნა.

სხვა ცნობების მიხედვით, ჩვენს დედაქალაქში პირველი აფთიაქი 1829 წლის 6 მაისს გახსნილა, რომელსაც რამდენჯერმე შეუცვლია მისამართი და საბოლოოდ ლეონიძის ქუჩაზე დაუდია ბინა. ცნობისთვის, სამსართულიანი სახლის პირველ სართულზე აფთიაქი დღესაც ფუნქციონირებს. არაერთი პატრონი გამოიცვალა, მაგრამ არც ერთ მათგანს შიდა დიზაინი არ შეუცვლია. აფთიაქში შესვლისთანავე თვალში მოგხვდებათ უნიკალური ავეჯი. გერმანული დიზაინის, კაკლის ხის, კედელში ჩასმული მოჩუქურთმებული კარადები ზუსტად იმ ხნისაა, რამდენისაც აფთიაქი. როგორც ახლა, აფთიაქს მაშინაც ორი დარბაზი (სარეცეპტო და მზა ფორმების განყოფილება) ჰქონდა. იატაკს, ჭერსა და კედლის მოხატულობას თუ არ ჩავთვლით, აქ ყველაფერი თითქმის ისეა, როგორც ორი საუკუნის წინ. როგორც ძველი თბილისის მკვიდრნი ამბობენ, ამ შენობაში 1829 წლიდან მოყოლებული სააფთიაქო საქმიანობა არასდროს შეწყვეტილა.

1870 წლიდან საქართველოში უკვე 23 აფთიაქი ფუნქციონირებდა, 1890 წელს — 63, ხოლო 1914 წელს — 161. 2012 წლის მონაცემებით კი, ფარმაცევტული ბაზრის კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში დაახლოებით 2400 აფთიაქია.

ცნობილია, რომ მსოფლიოში პირველი აფთიაქი არაბეთში გახსნილა — ბაღდადში ფუნქციონირება მას 754 წელს დაუწყია. ინგლისში წამლის პირველი სახლი 1387 წელს, ბერლინში — 1438 წელს, მოსკოვში — 1581 წელს გაუხსნიათ. იტალიური აფთიაქების ისტორია კი მე-12 საუკუნესა და ქალაქ ნეაპოლს უკავშირდება. სწორედ იტალიურ თარიღს ემთხვევა ვარძიის აფთიაქის არსებობაც, რომელიც სავარაუდოდ XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე, უფლისციხისა კი — კიდევ უფრო ადრე ფუნქციონირებდა.

რაც შეეხება სიტყვა „აფთიაქის“ ეტიმოლოგიას, ის XI საუკუნის ათონის ივერთა მონასტრის წერილობით წყაროში იხსენიება. გიორგი მთაწმინდელის თხზულებაში „ცხოვრებაი იოვანესი და ექვთიმესი“ ვკითხულობთ: „აპოთიკი და ბოსტანი და წისქვილნი კელარისა საურავნი იყვნეს“. ეს „აპოთიკი“ კი იგივეა, რაც ლათინური სიტყვა Apotheka — „აფთიაქი“.

მარი მელიქიშვილი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება

2015 წლის 2 აპრილს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრებამ ფარული კენჭისყრით აირჩია აკადემიის ნამდვილი წევრები (აკადემიკოსები) შემდეგ სპეციალობებში:

მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	
ხარაზიშვილი ალექსანდრე	– მათემატიკა
ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება	
თავაძე გიორგი	– არაორგანული მასალათმცოდნეობა და ტექნოლოგიები
ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება	
სადუნიშვილი თინათინ	– ბიოლოგია
ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება	
არაბული ავთანდილ	– ქართული ენა
სილაგაძე აპოლონ	– ლიტერატურათმცოდნეობა (ზოგადი და ქართული ლექსმცოდნეობა)

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი
გიორგი კვესიტაძე.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელი, აკადემიკოსი
ირაკლი ჟორდანია

◎ გვიშველეთ!

ფასების მომატებით მეწარმეობა ნადგურდება

ამ ბოლო დროს ენერგეტიკის მინისტრის კახი კალაძის განცხადებები – მოსახლეობას ბუნებრივი აირის ფასი მაისიდან არ გაეზრდებათ, ხოლო იურიდიული პირებისთვის გაიზრდებაო, საოცარ გაღიზიანებას და ადამიანების უკმაყოფილებას იწვევს, რადგან მოიმატებს პურის ფასიც! ნუთუ ამის გაანალიზების უნარი არა აქვს ენერგეტიკის მინისტრს და იმ ეკონომიკურ გუნდს, რომელიც ამის განხორციელებას აპირებს? გადახედეთ ჩვენს დახლებს და დარწმუნდებით, რა პროდუქცია იქმნება ამ ქვეყანაში, თითქმის არაფერი, რადგანაც პირველ რიგში, სამეწარმეო გარემო არ გვივარგა!

გამაღიზიანებელი კიდევ ის გახლავთ, რომ ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე „კალა კაპიტალიდანაა“, „ყაზტრანსგაზის“ ხელმძღვანელიც ამ ორგანიზაციიდან დანიშნეს, მინისტრიც ხომ ამ ორგანიზაციის ინტერესებს იცავს! ჰოდა, ქართველი გატყავებული მეწარმე არავის ედარდება... ერთადერთი იმედი პრემიერ ღარიბაშვილის პოზიციაა, თუ ის პრინციპული იქნება, ამას ვერც გაბედავენ! თუმცაღა, რა ვთქვათ. საკაშვილის მთავრობამ, ხმები რომ მოეპოვებინათ, ქართული პურის თონეებს (ბევრმა არც იცის) ფიქსირებული გადასახადი დაუწესა, ამ მთავრობამ კი, ისედაც ძვირი აირი თუ გააძვირა, ამდენ მეწარმეს უმუშევარს დატოვებს. გასაკვირი იცით, რა არის? „ყაზტრანსგაზი“ მიშისტების ბუდეა, ხელფასებიც მაღალი აქვთ და ყაზახი იქ ერთი კაციც აღარ არის, ვინ უშლით ხელს, შემოიტანონ აირი სომეკის ვაჟბატონებმა, უტიფრად რომ აცხადებენ, ჩვენ არ გვეხება ტარიფებიო! მთელმა ევროპამ იცის, რა ღირს რუსული აირი, რამდენია ტრანზიტის ფასი და საერთოდ, რა ფასებია ევროპაში. რა გახდა აზერბაიჯანიდან შემოტანილი ისედაც დაბალი ხარისხის აირის ფასის დადგენა? რამდენი წურბელა ზის ამ აირზე, რატომ არ არის სამეწარმეო ტარიფები ჩვენში დაბალი ისე, როგორც სხვა ქვეყნებშია... როგორ შეიძლება ამდენი უკუღმართობა?

ქართველი მეწარმეები ჯერ გაძარცვეს, დააპატიმრეს, ახლა კი ფასების მომატებით უღებენ ბოლოს!

ეს არის ბიზნესის განვითარებას ხელს ვუწყობთო?!

ეს ხელშყობა კი არა ხელის შეშლაა!

მალხაზ იაშვილი,
ავთანდილ ცომაია,
მეწარმეები.

◎ ევროკავშირთან ასოციირების გზით

დახმარებით კი გვეხმარებიან, მაგრამ ჩვენც ხომ უნდა ვივარგოთ?!

საქართველოსა და ევროკავშირს შორის შარშან ხელმოწერილი ასოციირების ხელშეკრულება თანდათანობით კონკრეტულ სახეს იღებს. ამასთან დაკავშირებით, მთავრობამ ასოციირების მოთხოვნათა დაკმაყოფილების წლევანდელი გეგმა დაამტკიცა, რომელშიც ეროვნულ ეკონომიკაში განსახორციელებელი ღონისძიებებია გათვალისწინებული.

კერძოდ, ქვეყნის ექსპორტის სტრუქტურის დივერსიფიკაციისთვის გარკვეული ნაბიჯები გადაიდგმება. მათ შორის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სს(ი)პ მეწარმეობის განვითარების სააგენტო **ექსპორტის მართვის კურსებს დააფუძნებს, არსებულ ვებპორტალს განაახლებს და გაათანამედროვებს, ხელს შეუწყობს ევროკავშირის ქვეყნებში გასამართ სავაჭრო გამოფენებში ქართველ იმპორტიორთა მონაწილეობასა და ფინანსური დახმარების პროექტების განხორციელებას.** რაც შეეხება საწარმოთა მართვას, – მეწარმეობის განვითარების უმნიშვნელოვანეს ასპექტს, ამ მხრივ გეგმაშია **მცირე და საშუალო საწარმოების მენეჯერთათვის საგანმანათლებლო პორტალის შექმნა, ტექნიკური მხარდაჭერის ინსტრუმენტთა შემუშავება.**

ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტია **სურსათის უვნებლობის** საკითხი. ამ მიმართულებით კვების პროდუქტების არასახიფათოებისადმი ახლებური მიდგომების სტრატეგია შეიმუშავეს და მისი შესაბამისი კანონმდებლობის ევროკავშირის ქვეყნებში მიღებულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციაში უნდა მოვიდეს, რაც, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავებას გულისხმობს. კონკრეტულად კი ეს საკითხები ეხება **მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის იდენტიფიკაციას და რეგისტრაციას, ცხოველთა დაავადებათა კონტროლის ღონისძიებებს, სურსათისა და ცხოველთა საკვების ხარისხის სახელმწიფო კონტროლი და ჰიგიენური წესების დახვეწას, მცენარეთა მავნებლობაზე კონტროლსა და მათგან დაცვის საშუალებების ბაზარზე გამოტანას.**

ყველა აღნიშნული საკითხის ნიუანსებში გასარკვევად, მეწარმეობის განვითარების სააგენტოს სპეციალისტები ევროკავშირის ბაზრებზე დადგენილ მოთხოვნებთან დაკავშირებით მწარმოებელთათვის შესაბამის საინფორმაციო შეხვედრებსა და ტრენინგებს მოაწყობენ, ასევე გააცნობენ მათ კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებებს. სააგენტო მჭიდროდ ითანამშრომლებს კერძო სექტორის მეწარმეებთან, შესაბამის დახმარებას გაუწევს საწარმოთა ტექნოლოგიურ გადაიარაღებასა და ახალი კვლევითი მეთოდების დაუფლებაში.

ქვეყნის საერთო სატრანზიტო კონვენციასთან მიერთების პროცესში საბაჟო სამსახურის თანამშრომელთა გადამზადება, საბაჟო რისკების სისტემის დახვეწა, პარტნიორ ქვეყნებთან წინასწარი ინფორმაციის გაცვლის სისტემის აწყობასა და კონტრაბანდის საწინააღმდეგო სისტემების დანერგვაში ევროკავშირის წევრი ქვეყნების გამოცდილების გაცნობა-შესწავლა მოხდება.

აღნიშნულმა და კიდევ მრავალი სხვა სახის დაგეგმილმა ღონისძიებამ ქვეყანას ხელი უნდა შეუწყოს სხვადასხვა სფეროში მოღვაწე მეწარმეებმა თავიანთი პროდუქტიცია ევროსტანდარტების შესაბამისი გახადონ, რათა ევროკავშირის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი იყვნენ. ამასთან, უაღრესად მნიშვნელოვანია ისიც, რომ დასახულ გეგმათა განხორციელების შედეგად საქართველო საინვესტიციო და ბიზნესის წარმოების თვალსაზრისით გაცილებით მიმზიდველი გახდება. ზემოჩამოთვლილი და მთელი რიგი სხვა სახეობის ღონისძიება სხვადასხვა წყაროებიდან დაფინანსდება: კერძოდ, **სახელმწიფო ბიუჯეტის გარდა საჭირო სახსრებს გაიღებენ თავად ევროკავშირი, გაერო, ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, მსოფლიო ბანკი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება, ევროკავშირის ყოვლის მომცველი ინსტიტუციური განვითარების პროგრამა, ავსტრიის განვითარების სააგენტო, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტო.**

როგორც ვხედავთ, ხელის გამმართავი საკმაოდ გვყავს, ამჟამინდელი ფინანსური კრიზისის რეციდივის დასაძლევად საკუთარი სახსრების გაღებაც მოგვიწევს, მაგრამ, ამჟამად შექმნილ მეტად დაძაბულ ეკონომიკურ ფონზე, მთავარი მაინც კარგად გააზრებული პროგრამის განსახორციელებლად სწორი ნაბიჯების გადადგმაა. ეს, ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ ასეთი სამოქმედო ფინანსურ-ეკონომიკური სტრატეგიული გეგმა საერთოდ არსებობს. ყოველ შემთხვევაში სწორედ ამას საყვედურობს ბევრი ექსპერტი მთავრობის ეკონომიკურ გუნდს.

სამრეწველო სფეროს გარდა, ქვეყნის ეკონომიკის უმთავრესი ნაწილი, ცხადია, ექსპორტის გაზრდას საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარებისთვის უდიდესი როლის შესრულება შეუძლია. ამდენად, მეტად საგულისხმოა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებული განვითარების სტრატეგიული ხედვა, რომელიც, მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით, ისეთი გარემოს შექმნას ითვალისწინებს, რომელიც **სამამულო წარმოების სოფლის მეურნეობის პროდუქციის კონკურენტუნარიანობის მაღალი ხარისხის საქონლის წარმოების სტაბილურ ზრდას, სასურსათო უვნებლობასა და უსაფრთხოებას შეუწყობს ხელს.** აღნიშნულ სტრატეგიასთან დაკავშირებით შექმნილი დოკუმენტი 2015-2020 წლებს მოიცავს და, მის ავტორთა განცხადებით, საშუალო ვადაზე გათვლილ ქვეყნის განვითარების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

სოფლის მეურნეობის სტრატეგიული განვითარების გეგმის ფრთაშესასხმელად კონკრეტული მუშაობა რამდენიმე ძირითადი მიმართულებით წარიმართება, რომელთა წიაღში პრიორიტეტები დადგენილი წყაროებიდან დაფინანსდება და დათქმულ ვადებში განხორციელდება. ეს მიმართულებები, კერძოდ, ასეთია: **აგრარულ სექტორში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება; ინსტიტუციური განვითარება; მელიორაცია და ნიადაგის ნაყოფიერება; რეგიონული და დარგობრივი განვითარება; სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა; სურსათის უვნებლობა, ვეტერინარია და მცენარეთა დაცვა, ასევე კლიმატური ცვლილებები, გარემო და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება.**

აღნიშნული მიმართულებებით შესაბამის ღონისძიებათა განხორციელებისას **განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მხარეებისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ეკონომიკური განვითარების ღონისძიებებს, ინსტიტუციური მოწყობის სრულყოფას ფერმერთა გადამზადებას საბაზრო ურთიერთობათა მოთხოვნების შესაბამისად, საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ეფექტიან საქმიანობას და, რაც განსაკუთრებითაა აღსანიშნავი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინტეგრირებულ განვითარებას, კიდევ არაერთ სხვა ასპექტს.**

ასეთ სტრატეგიულ ხედვაში რაიმე ახალი და განსაკუთრებული, ცხადია, არც არის და ვერც იქნება, ყველაფერი ეს ისევ ჩვენი გასაკეთებელი რომაა, დარგის სპეციალისტებმა, ექსპერტებმა, სოფლის მცხოვრებლებმა დიდი ხანია, იციან. ამდენად, საქმე, როგორც ყოველთვის, არა ახლებურად გაჟღერებული ძველი იდეების კოხტად შეფუთვაზეა, არამედ საქმის რეალურად კეთებაზე.

ოთარ ტურაბელიძე

ბაქიბუქი, პაკიპუკი და ფეისბუქი

ანუ ვინ არის ელისო კილაძე?!

პატივცემულო რედაქცია, გიგზავნით ამ მასალას, რამეთუ მიმაჩნია, რომ არ შეიძლება ჟურნალისტიკას შეფარებულ შემთხვევით ადამიანთა, ამასთან, დაბოღმილთა და მედროვეთათვის იმის პატიება, რასაც ისინი ბედავენ ქვეყანაში ქაოსის შესაქმნელად და ჭეშმარიტ პროფესიონალთა სახელის გასატეხად,. თუ არა ჩემმა კოლეგებმა, დიდი სიზუსტით სხვამ ვინ იცის, ვინ რისი შემქმნელია და რისი პატრონია. მთელი ჩემი ცხოვრებისეული გზა ისე განვლიე, რომ წვეთი ღვინოც კი არ შემისვამს იმასთან, ვისთვისაც სიკეთე გამიკეთებია, ასეთი კი ჩემს ცხოვრებაში ერთ და ორი არ იყო, რადგან მწამდა და დღესაც მწამს, რომ ჟურნალისტიკა სიკეთისათვის უნდა არსებობდეს და არა იმისათვის, რომ ზოგ-ზოგიერთივით 30 ვერცხლის ფასად მტრობა დათესოს და ქვეყანას ძირი გამოუთხაროს.

ძალიან დიდხანს ვიკავებდი თავს, რომ ამ ქალზე, რომლის გამრუდებულ გზას კარგად ვიცნობ, არაფერი მეთქვა, მაგრამ ლენცოფამ ძალიან ღრმად გაიდგა ძირი და ეს ძალზე საშიშია, მით უფრო, რომ მას ჭკუა ვერც გაზეთ „ქუთაისის“ ჩემს შემდგომდროინდელი რედაქტორის, ქალბატონ ნინო დეისაძის უამრავმა დასაბუთებულმა კრიტიკულმა სტატიამ უშველა და ვერც სხვა ჟურნალისტების შეგონებამ და მისეულ უკუღმართობათა მხილებამ.

უღრმესი პატივისცემით
ალექსანდრე შენგელია.

ვინ არის ელისო კილაძე? ქალი, რომელიც პროვოკაციებით თავის დანაშაულს მალავს, თუ რუსეთის აგენტი? – ამ სათაურით ჯერ კიდევ 2013 წლის 19 დეკემბერს, 10 საათსა და 25 წუთზე ფეისბუქში გამოჩნდა სტატია, რომელშიც ნათქვამია:

„ეს ქალბატონი აქტიურად გვახსენებს თავს სკანდალური განცხადებებითა და იმდენად ურთიერთსაწინააღმდეგო ბრალდებებით, რომ ძნელად დაეჯერება რაიმე, თუმცა, სკანდალის აგორება რომ ეხერხება, ეს ფაქტია.

დავუშვათ, რომ მისი მასალები ნამდვილია. მაშინ გამოდის, რომ ისიც გარეული იყო ამ სიბინძურეში, არჩევნების წაგების შემდეგ კი პროვოკაციული გამოსვლებით ცდილობს დანაშაული დაფაროს.

საზოგადოებაში ჩნდება კითხვები: საიდანა აქვს ეს მასალები? სად იყო აქამდე? რატომ ვერ ასაბუთებს ამ ამბებს? რატომ დაურთო თავის გამოსვლებს პატიმრების წამების ფაქტზე ყალბი ფოტო?

არც აუდიოჩანაწერებში არ იყო არაფერი მაკომპრომეტირებელი.

რას ემსახურება ეს ყოველივე?

ძალიან დიდი სიბინძურეა სხვის უბედურებაზე პიარის კეთება.

იქნებ ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს ეხმარება დესტაბილიზაციის მცდელობით?

იგი განაწყენებულია „ქართულ ოცნებაზე“ პირადი მიზეზების გამო. არ არის გამორიცხული, რომ მისი გამოსვლები მისი პირადი რევანში იყოს საზოგადოების გასულელების ხარჯზე“...

კომენტარი ქუთაისიდან:

ფრიად საინტერესო მხილებაა, მაგრამ სრულყოფილი ვერაა. დავიწყებულია, რომ ქუთაისში ჯართის ბიზნესის გარდა, როგორმე მისი აგრესია რომ დაეცხროთ, მას „აჩუქეს“ პრესის სახლის 5-სართულიანი შენობა, რომელიც გაქირავებულია რესტორანსა და მრავალ სხვადასხვა ორგანიზაციაზე, საიდანაც აღებული ფული, საკმაოდ სოლიდური თანხა, დასაზუსტებელია, თუ ვის ჯიბეში ჩადის და რამდენად კანონიერად.

აი, კიდევ ერთი მამხილებელი სტატია ფეისბუქიდან:

SOS! ზონდერჟურნალისტი! „ქრონიკა+“-დან „ელისო+“-მდე....

For.ge-ს დაუკავშირდა ყოფილი პატიმარი ქეთი ზარნაძე, რომელმაც წერილის გამოქვეყნება გვთხოვა:

„ბოლო პერიოდში პრესაში, კერძოდ, რამდენიმე წლის წინათ, ჟურნალისტიკაში ჩანერგილი ვინმე ელისო კილაძის პირად გაზეთ„ქრონკა+“-ში ვრცელდება არა ერთი ცილისმწამებლური ე. წ. ინფორმაცია.. – წერია სტატიაში და დასახელებულია მრავალი მამხილებელი ფაქტი.

ამასთან დაკავშირებით ელისო კილაძეს აი, რა წერს საქართველოდან ისრაელში ასული ყოფილი ქუთაისელი, ქალბატონი **მანჩო განკა:**

რომ მოგიღია ეგ პირი და სისულელეებს ბჟუტურობ, არ გრცხვენია?! ამას ჰქვია „მარაზმი“! კილაძის ქალო! ფუუუ, შევარცხვინე შენი ქალობა! ქალი კი არა, ქაჯი ხარ!!! ქაჯობას რომ თავი დავანებოთ, კრიმინალური სამყაროს წევრი ხარ! დამნაშავე და საზოგადოებისთვის საშიში პიროვნება ხარ! შენი ადგილი გისოსებს უკანაა – ან ციხე ან საგიჟეთი!

* * *

აგერ კიდევ ერთი ფრიად საყურადღებო „პოსტი“ ისევ და ისევ ელისო კილაძესი.

2014 წლის 25 მაისი, დილის 6 საათი.

ირკვევა, რომ „გაზეთ „ქრონიკა+“-ის რედაქტორი ელისო კილაძე შეხვდა გიორგი ჩხარტიშვილს, იმავე „მაცაცოს“ და მყისვე გაავრცელა სკანდალური ინფორმაცია სოციალურ ქსელში: „პოსტი დადო“, ანუ, ქართულად რომ ვთქვათ, წერილი გააშანშალა?

რა ეჩქარებოდა ამ დილაუთენია?

როგორ თუ რა ეჩქარებოდა, ხომ შეიძლება, ღამენათევს მონათხრობი გადავიწყებოდა. არადა, ნახეთ, რას წერს ამასთან დაკავშირებით! „შოკში ვარ! „მაცაცომ“ პარლამენტის იმ კომიტეტის თავმდომარის ვინაობა დამისახელა, ვისთანაც სექსი ჰქონდა. არ მკითხოთ, არ გავამხელ, კანონით დასჯადი ქმედებაა.

მაგრამ შოკში ნამდვილადა ვარ.“

აქ ზუსტად ის მდგომარეობაა, როგორზეც 30 წლის წინანდელ საბჭოურ კრებებს დღემდე ცოცხალი ის გამომსვლელები შეგვახსენებენ, რომლებიც თავიანთ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გვარის დაუსახელებლად აკრიტიკებდნენ. არადა, კომიტეტის თავმჯდომარე იმდენად მრავალრიცხოვანი არ არის პარლამენტში, რომ გვარის დაუსახელებლადაც არ მოითხოვონ პიროვნების ადამიანური ღირსების შეურაცხმყოფელის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. ამის აუცილებლობას ფეისბუქზე გამოქვეყნებული გამოხმაურებაც ადასტურებს.

აი, კომენტარებიც:

ეთო ჯიშიაშვილი ტრაპიზონიდან: შენ, ქალო, ხომ არ გაგიჟდი? რა წაიღე ტვინი? მოკეტე, რა! და თუ ასეთ უხამს რაღაცებს გიგზავნიან, შენთვის შეინახე.

ისე, რატომ არ გიკვირს, რომ ყველა სისაძაგლეს შენ გიგზავნიან?

ნაზი კაკულია (2014 წ. 25 მაისი) მართლა ყველაფერი უნდა დაწეროთ სულელების ნათქვამი? წერეთ რამე ნორმალური! სხვა არაფერი ხდება ჩვენს ქვეყანაში?

ზალიკო გამყრელიძე (25 მაისი) ქალბატონო ელისო, ეგ ინფორმაცია რომ მართალი იყოს, აქამდე თქვენს ენას რა გააჩერებდა, კარგა ხნის გაშიფრული ბრძანდებით. ნეტა თუ ვინმეს მაინც სჯერა ამდენი სისულელე?

თბილისელი (25 მაისი, 10 საათი და 55 წუთი) ყველა შენ რატომ გიმხელს საიდუმლო ინფორმაციებს? საინტერესოა! რა საქმე გაქვს მაგ მაცაცოსთან?

ნაზი კაკულია (განაგრძობს ადრე დაწყებულ საუბარს) 14 საათი და 14 წუთი: საერთოდ რატომ მოუსმინე ქალბატონო ელისო (ერთს დავამატებთ მეტი სიცხადისათვის, ოღონდ უკომენტაროდ: ამ სისაძაგლის მოსმენა მოხდა გამთენიის 6 საათამდე, როდესაც პატიოსან ადამიანს წესით უნდა ეძინოს)

და ბოლოს განაჩენიც, როგორც მე-19 საუკუნემდე ჩვენი წინაპრები იტყოდნენ ხოლმე, ***აზრი გონიერი:***

ქრისტინე ადოიანი: (14 საათი და 51 წუთი): ეს ქალი რომ შუა საუკუნეებში დაბადებულიყო, კოცონზე დაწვავდნენ.

* * *

2015 წლის 11 თებერვალს ელისო კილაძე სოციალურ ქსელში წერს:

„რუსთავი-2“-ში შევარდებიან! არ ვიცი, როგორ და რა ფორმით, მაგრამ „რუსთავი-2“-ში შევარდებიან. ესაა ჩემო პროგნოზი.“

აი, რას წერენ ამასთან დაკავშირებით ამ თვითმარქვია „ნათელმხილველის“ ვაიუშველებელზე მისი წამკითხველები:

მარინე გოგიჩაიშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან (2015 წლის 12 თებერვალი, 22 საათი და 10 წუთი)ელისო, შენი ნათქვამი პროგნოზი ხშირად არ მართლდება, მაგრამ ამას დავიჯერებ, რადგან ჩემი სურვილიც ეგაა. საერთოდ დასახურია ეს დეზინფორმაციული არხი.

ტარიელ რევიშვილი (11 თებერვალი, 13 საათი და 35 წუთი): ვინ და რატომ? სიმართლე ხომ უნდოდათ...(წინადადება დამთავრებული არ არის)

სესილი გაბუნია: ილიას უნივერსიტეტელი (11 თებერვალი, 18 საათი და 47 წუთი): ნეტა მართლა შევარდნენ და“ ვაბშე“ დახურონ ეს არხი, მოტყუების მეტს რომ არაფერს არ აკეთებენ.

ერეკლე კუტალაძე (19 საათი და 31 წუთი): საერთოდ დასახურია ეს ტელევიზია.

თინა გეჯაძე, პენსიონერი (18 საათი და 46 წუთი) ეთანხმება ზემოთქმულ კომენტარებს და ასკვნის: არ იქნებიან მერე გიჟები.

მარიკა იოსელიანი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან (19 საათსა და 31 წუთზე): სისულელეებს ნუ ბოდიალობ, შე უნამუსო!

გოგი ძნელაძე (19 საათსა და 31 წუთზე): ნუ ავრცელებ ამ უაზრობებს!

* * *

ისევ ბოღმა, ისევ ადამიანთა შეურაცხყოფა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა შეამჩნიეს, სხვა დააწინაურეს, სხვას ქებით იხსენიებენ, მას კი არა. და, აი, შურისძიებაც: თავად მას რომ ვერაფერი მოუძებნა გასაკილ-გასაკიცხი, მისი ოჯახის წევრს გადასწვდა!

„ქრონიკა+“: „№ პიროვნების მეუღლე დღესაც მეტადონის ჩანაცვლების პროგრამით სარგებლობს“.

„ოცნების სიძე ოპიუმის მოხმარებისათვის ორჯერ არის ნასამართლევი. ექსკლუზივი.

გაზეთი „ქრონიკა+“ აქვეყნებს ექსკლუზიური წყაროებით მოპოვებულ მონაცემებს იმის თაობაზე, რომ №-ის მეუღლე დღესაც მეტადონით ჩანაცვლების პროგრამით სარგებლობს. ამასთან „ქრონიკა+“ მიუთითებს, რომ იგი ორჯერაა ნასამართლევი ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკების მოხმარებისათვის. გაზეთში მისი ცხოვრების სხვა დეტალებიცაა გამოქვეყნებული. კერძოდ ის, რომ მანამდეც იყო ქორწინებაში სხვასთან და წყვილს თანაცხოვრების დროს შვილიც შეეძინათ.“

ეს სადისტური ინფორმაცია 14.870-ს წაუკითხავს.ამან ძალაუნებურად შეგვახსენა მაცხოვარის ცნობილი შეგონება ცოდვილისათვის ქვის სროლის თაობაზე. ეგებ ვიდრე ამგვარ „პოსტს დადებდეს“ საზოგადოებრივ ქსელში,მანამდე მაინც გაიხსენოს ქალბატონმა ელისომ, რატომ გაუკეთეს უმძიმესი ოპერაცია გასული საუკუნის ბოლო ათწლეულის დასაწყისში, რა ამოაჭრეს, რატომ და ვისი მიზეზით.

იმათ, რომლებსაც უდიდესი ფსიქიკური ტრავმა მიაყენა და მისი უსაზიზღრესი ინფორმაციით შეშფოთებულ თხუთმეტიათასამდე წამკითხველს ამ კითხვის დასმის სრული მორალური უფლება აქვთ.

ამ მცირეოდენი გადახვევის შემდეგ ისევ კომენტარებს მივუბრუნდეთ.

თ ა მ ა რ ი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან (2013 წლის 31 ივლისი, 9 საათი და 20 წუთი): ამის დამწერს ჟურნალისტი ჰქვია? ეს არის თქვენი ჟურნალისტური გამოძიება? ამდენი დოქსოპულო? მეცოდებით, მაგრამ ვიცი, რომ ვერ მიხვდებით რატომ...

ეკა ძლიერიშვილი, თავდაცვის სამინისტროდან: რა ტუტუცი ხართ? მერე რა მოხდა? ერთადერთია ეგ მარტო? ვის არ გადახდება? აბა, ჰე, გამოაქვეყნეთ კიდევ, იქნება რამე იპოვოთ! რა გემატებათ ამ სულელური ჭორაობით? მეზიზღება უკვე ამ გვერდზე შემოსვლა – ჭორიკნობისა და სიბინძურის ბუდე. რამე სერიოზულის წერა არ შეგიძლიათ, ვაიჟურნალისტებო?

ქეთი (2013 წლის 31 ივლისი, 17 საათი და 12 წუთი): უზნეობაა სხვის პირად ცხოვრებაზე საუბარი. ყველამ თავის ოჯახში ჩაიხედოს. თუ ეს ადამიანები ბედნიერები არიან ერთად, განა ამაზე კარგი შეიძლება იყოს რამე? ღმერთმა ორივე ბედნიერად ამყოფოს.

ეთერ კანდელაკი, სამედიცინო უნივერსიტეტიდან (31 ივლისი, 17 საათი და 12 წუთი): რა მოხდა მერე, თუ მეტადონის პროგრამაზეა **(ეს ნიშნავს, რომ ძე-შეცდომილის ცხოვრებაში გარდამტეხი, კეთილი ცვლილება მოხდა, თანაც, როგორც ჩანს, ამ სასიკეთო საქმეში მისი ერთგული მეუღლე ეხმარება. რედ**. რას იჩიჩქნებით ეს ჟურნალისტები? ვუსურვოთ ბედნიერება და ჯანმრთელობა.

ნინო მიშველაძე: (1 აგვისტო, 22 საათი და 33 წუთი): კარგი, რა, ხალხო, ნუ ხართ ბოღმიანები! ცხოვრების ახლად დაწყების უფლება ყველასა აქვს.

ნანა თეთრაშვილი, კიბოს კვლევის ცენტრიდან (31 ივლისი, 13 საათი და 38 წუთი) აბა, თქვენ იცით, გაჯიჯგნეთ! ცხოვრების ახლად დაწყების უფლება ყველასა აქვს.

დათო ორაგველიძე: (2014 წლის 29 აგვისტო) ამის დამწერს, დავიჯერო, ასეთი ავადმყოფი არავინა ჰყავს? უსინდისობაა, ადამიანის გახსენებაზე და ოჯახის უბედურებაზე ქულებს იწერთ... მერე ასეთს დასჯის ღმერთი და გაოცებულები კითხულობენ, რა დააშავო? რა დააშავა და ბოროტების ბუდეა სხვისი ოჯახის ტკივილი და ავადმყოფობა ფეხებზე კიდია. **სირცხვილია!**

* * *

ქანქარასავით მოქანავე ბოროტი ჭორიკანა ხან მლიქვნელურად აქებს და ცდილობს, ტყუილ-მართლის მისეული ნაზავით აცდუნოს ყოფილი პრემიერი, ხანაც საგანგებოდ ავრცელებს მისი სახელის შემბღალველ ინფორმაციას. აი, მრავალთაგან ერთი ამის თვალნათლივი მაგალითი:

„ზ ა რ ი შ უ შ ი ს ს ა ს ა ხ ლ ი დ ა ნ“

„ზარი შუშის სასახლიდან (ვაზუსტებ, ჯერ კიდევ უცხოეთშია)“ ...

ციტირებას აღარ განვაგრძობთ, რამეთუ ვფიქრობთ, რომ ამგვარი „ინფორმაციის“ მიზანი ისედაც სავსებით ნათელია, მაგრამ იმ კომენტარებს მაინც გაგაცნობთ, რომელიც მის ავტორს ამ მორიგ სიბინძურეში ამხელს.

მარიკა იოსელიანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან (2015 წლის 29 იანვარი, 15 საათი და 8 წუთი) ქალ-

ბატონო ელისო! შეწყვიტეთ ეს მარაზმი. არ გრცხვენიათ მაინც, ამხელა ქალი რაღაც სისულელეებს რომ ბოდავთ?

გრიგოლ გორდელაძე (29 იანვარი,16 საათი და 5 წუთი) : მაგით ჭამს პურს.

მანანა მაისურაძე (16 საათი და 6 წუთი) : აუ, ეს ქალი რა მაგრად მაღიზიანებს?!

ირინე ჯამბურია (16 საათი და 7 წუთი): ჩაიგდე ხმა გااااა....

მოვიტანთ კიდევ ერთ ამონარიდს ელისო კილაძის იმ „შემოქმედებითი გვირგვინიდან“, რომელიც, ფაქტობრივად კრიტიკის ობიექტს კი არა, თავად ამ „წაკრიტიკებულ“ სტატიის ავტორს ამხელს ქვენა გრძნობებსა და იმის დაუოკებელ სურვილში, რომ როგორმე გზა გაიკვლიოს ხელისუფლების მაღალი ეშელონისაკენ. აი, ერთი ამონარიდი დაბოღმილი ქალბატონის საავტორო გაზეთის ბოლო ნომრიდან და თავად განსაჯეთ, ვინ არის და რას წარმოადგენს ამ სტრიქონების ავტორი.

ელისო კილაძე (30 მარტის 9 საათი“): “ მიხარია,რომ პრემიერის სიმამრი ანონიმშჩიკობას მორჩა. ჩემს მოწოდებას გამოეხმაურა და „ასავალ-დასავალში“ ღია წერილით მომმართა. არც ერთ ჩემს კითხვაზე პასუხი არ გაუცია, არც ერთ კონკრეტულ ფაქტს არ გამოხმაურებია, ისე უსაგნოდ მლანძღავს („საქართველოს რესპუბლიკის“ ანონიმი ავტორის რიტორიკით).

ჩემი ფაქტები ხვალ „ქრონიკა+“-ში. მხოლოდ ფაქტები და არავითარი შეფასებები.

საზოგადოებისათვის ისედაც ყველაფერი ცხადია,“ დიახ, საზოგადოებისათვის ყველაფერი ცხადია და ეს წერილიც მისივე თვითლუსტრაციის კლასიკური მაგალითია.

არც კი მალავს, რომ ანგარება ამოძრავებდა და ამიტომ ხან თამაზ თამაზაშვილს აეტორღიალებოდა, ხან მის ვაჟ ალექსანდრეს და ხანაც მათ სიძეს, საქართველოს პრემიერს და დღეს ნანობს: „თავის დროზე უნდა შემეხსენებინა თქვენთვის, ბატონო სიმამრო, ჩემი დამსახურების შესახებ, დივიდენდებიც მომეთხოვა“.

არ მისცეს დივიდენდები, არ ენდნენ, არ გააკარეს თავის წრეს და დაიბოღმა, შურისძიებით აღივსო და შეეცადა, ყველა და ყველაფერი დაეგესლა. არადა, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რას ბრძანებდა, რას წერდა და როგორ ემლიქვნელებოდა ერთი წლით ადრე პრემიერს, რათა როგორმე მის გუნდში შემძვრალიყო. ამისათვის არც სტრატეგია შეუცვლია და არც ტაქტიკა. ყველაფერს იმ ხელწერით იმეორებდა, როგორმაც ადრე არაერთხელ მოუტანა მისთვის სასურველი შედეგი. მისი გამრუდებული გზა კი ასე დაიწყო: გაზეთ „ქუთაისში“ ჯერ შტატგარეშედ მივიდა, შემდეგ, კატაკლიზმების პერიოდში,ისარგებლა ამღვრეული წყლით და მავანთა დახმარებით – შტატშიც მოხვდა. მომდევნო პერიოდში მხედრიონელებთან ერთად „მათე ბიჭის“ სახელით დარბოდა; ამის შემდგომ, ინტრიგნული გამოსვლებით (იმისათვის, რომ როგორმე გაეყუჩებინათ), ხელში ჩაიგდო ჯართის ბიზნესი და, ფაქტობრივად, ქუთაისის „პრესის სახლის“ 5-სართულიანი კორპუსიც; „ვარდების რევოლუციის“ მერე ის უკვე მისი თანაპოლკელი მხედრიონელისა და შემდგომში განაციონალებული გუბერნატორის კაბინეტში აღმოჩნდა და საზოგადოება „ქუთაისელს“ უტიფრად აიძულებდა, პრეზიდიუმის წევრად აერჩიათ, თუმცა, ამჯერად ბოლომდე არ გაუმართლა, რამეთუ არც თუ მთლად სასახელო საქმეზე წასწრებული გამოაპანღურეს ორივედან... ამის შემდეგ ბადრი პატარკაციშვილის გუნდში შეძვრა, მისი საეჭვო ვითარებაში გარდაცვალების შემდგომ კი, ქალი, რომელიც არასდროს იძირებოდა და ზედაპირზე ტივტივებდა, კვლავ ერთი პარტიიდან მეორე პარტიაში მოგზაურობდა ბაქი-ბუქით, ტაკი-ტუკითა და ფეისბუქით. ასე რომ, თუმცა ქალია, მაგრამ მაინც მოხერხებულად მოირგო იმ კვაჭის როლი, რომლის დაბადების ადგილი დიდი მანძილით როდია დაშორებული ხსენებული ქალბატონის სახლიდან .

* * *

„ლირიკული გადახვევის“ შემდგომ ისევ საქმე:

2014 წლის 9 აპრილი (შეგახსენებთ, რომ ეს ხდება სისხლიანი 9 აპრილის ზუსტად 25 წლისთავის დღეს), 17 საათი და19 წუთი,ისევ ფეისბუქი და განგაშის ზარი. ამჯერადაც ისევ და ისევ ცრუ, მაგრამ ძალზე ხმამაღლა დარისხებული განგაშის ზარი!

„ელისო კილაძე: ბატონო ირაკლი, ფრთხილად, თქვენს კარზე გადატრიალება მზადდება!“

„ძალიან ფრთხილად უნდა იყოს ირაკლი ღარიბაშვილი, რადგან მას როგორც ოპოზიციაში, ასევე თავად ხელისუფლებაში ბევრი მტერი ჰყავს“, – აცხადებს „ქრონიკა+“-ის მთავარი რედაქტორი ელისო კილაძე და „ასავალ-დასავალთან“ იმ სქემას შიფრავს, რომელიც ირაკლი ღარიბაშვილის ზურგს იქით იგეგმება და, შესაძლოა,ქვეყანა სახიფათო შედეგებამდე მიიყვანოს“ – ეს სიტყვები მისი ინტერვიუერის – ნატო ფოცხიშვილის კომენტარია.

აი, კიდევ ერთი ელისო კილაძისეული იმდროინდელი ამონაწერი ფეისბუქიდან: „ორიოდე დღის წინათ კიდევ ერთი დასტური მივიღე იმის თაობაზე, რომ ბიძინა ივანიშვილი საქართველოდან მიდის...“

ხომ ხედავთ, „მზრუნველი დედის“ რა როლს თამაშობდა მისი შვილის თანატოლი პრემიერის წინაშე ეს „ყოვლისმცოდნე“ და ყოვლისმკადრებელი ჭორიკანა?!

მოდით, ერთხელ კიდევ ერთად შევადაროთ ეს „სათუთი მზრუნველობა“ და პრემიერის „ძიძად“ გახდომის მისეული სურვილი ქალბატონ ელისოს დღევანდელ ვნებებსა და ცდუნებებს, რათა ბოლომდე გავისიგრძეგანოთ, ვინ არის და როგორი ასავალ-დასავალისა თავის „წინამორბედ“ კვაჭივით ამღვრეული, ტალახისფერი რიონის წყალგადავლებული ქალბატონი. სწორედ ის ქალბატონი, რომელიც ასე განუსჯელად და დაუსჯელად ბაკი-ბუკობს და ბაქი-ბუქობს ფეისბუქზე!

ალექსანდრე შენგელია
ქუთაისის საპატიო მოქალაქე



2030 წლის პირველ იანვრამდე დარჩენილია 5384 დღე!

ძმები ვმრეს

გასული კვირა ქართული საზოგადოებისთვის საკმაოდ მძიმე იყო. შოკი, რომელიც ბიზნესმენ ბესო ხარძიანის მკვლელობამ გამოიწვია, ხელისუფლებისგან სწრაფ რეაგირებას მოითხოვდა. ამ ტრაგედიასთან დაკავშირებით საკმაოდ ბევრი რამ დაიწერა, გამოითქვა ვერსიები და გაკეთდა განცხადებები, ამიტომ ბევრს არაფერს ვიტყვი. უბრალოდ მოვიყვან ნაწყვეტს გენერალური პროკურორის მოადგილის ირაკლი შოთაძის განცხადებიდან, რომელმაც გარკვეული იმედები გააჩინა: **„ბიზნესმენ ბესო ხარძიანის მკვლელობის საქმეში პროკურატურას საკმაოდ დიდი ინფორმაცია აქვს მოპოვებული. განზრახ მკვლელობის საქმეზე ჩატარებულია ძალიან ბევრი საგამოძიებო მოქმედება, რომელთა შედეგადაც გამოძიებამ დიდი ინფორმაცია მოიპოვა. ჩვენ უკვე ვიცით, სად უნდა ვეძებოთ შესაბამისი მოწმეები და შესაბამისი მტკიცებულებები. საგამოძიებო მოქმედებები 24-საათიან რეჟიმში მიმდინარეობს. პროკურატურა და სამართალდამცავი ორგანოები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ამ სასტიკი დანაშაულის ჩამდენები დაისაჯონ“.**

ასევე მკვეთრი განცხადება გააკეთა ბიზნესმენის დაკრძალვაზე მისულმა ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა: **„მინდა, სამძიმარი და თანადგომა გამოვუცხადო გარდაცვლილის ოჯახს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ეს არ გახლავთ მხოლოდ ერთი ოჯახის ტრაგედია. ის, რომ მოკლე დროში უკვე მეორე შემთხვევაა, როდესაც პრინციპულ ადამიანებს, ვინც სამართლიანობისთვის ბრძოლას თავს არ ანებებენ, სწორედ რომ ტერორით უსწორდებიან ჩვენს ქვეყანაში და ცდილობენ ამით შეგვახსენონ წარსული დრო და საზოგადოებაში შიში და შფოთვა გამოიწვიონ, რასაც ვარწმუნებთ, მათაც, არაადამიანებს, ვისაც ეს თავში მოუვიდათ და ჩვენს საზოგადოებას, რომ მსგავსი ჩვენს საზოგადოებაში ფეხს ვერ მოიკიდებს და ყველას პასუხი გაეცემა, ყველა პასუხს აგებს სამართლის წინაშე“,** – განაცხადა ივანიშვილმა.

თუ შოთაძის პათოსში შეიძლებოდა ეჭვის შეტანა, ბიძინა ივანიშვილის ამ განცხადების შემდეგ ნამდვილად მჯერა, რომ სამართალდამცავები დაფაცურდებიან და ყველაფერს გააკეთებენ, როგორც შემსრულებლის, ისე დამკვეთების დასადგენად და საჯაროს გახდიან იმ სქემებს, რომლებითაც დამკვეთები ცდილობენ ქვეყანაში დესტაბილიზაციის შემოტანას. ტყუილად არ მითქვამს სიტყვა „შემოტანა“, რადგანაც ყველამ კარგად ვიცით, რომ დესტაბილიზაცია უკრაინაში თავშეფარებულ სააკაშვილს და მის ბანდას სჭირდება, ხოლო ე.წ. „პოლიტკორექტულობა“ და „კოჰაბიტაცია“ მათთვის ყველაზე ნოყიერი ნიადაგის საფუძველს იძლევა.

სწორედ ამ „პოლიტკორექტულობის“ შედეგია ისიც, რომ ტელეკომპანიებმა „რუსთავი-2“-მა და „მაესტრომ“ პრემიერ-მინისტრის გამოსვლა მე-16 წუთზე შეწყვიტეს და ეს წყვეტა ხელისუფლებას დააბრალეს.

გადაცემა „კურიერის“ წამყვანმა განაცხადა, რომ: **„ტელეკომპანია იძულებულია, გავიდეს სარეკლამო ჭრაზე, ვინაიდან ამას დღეს ამოქმედებული „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი მოითხოვს“.**

სრული სიცრუე! დიახ, სრული სიცრუე, რადგანაც **„საქართველოს პარლამენტის მიერ 2004 წლის დეკემბერში „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების დღიდან, 63-ე მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, იკრძალება შემდეგი პირდაპირი ტრანსლირების რეკლამით და ტელეშოპინგით შეწყვეტა: ოფიციალური სახელმწიფო ღონისძიება, უმაღლესი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის ოფიციალური გამოსვლა და სხვა ...“.**

კახა ბექაურმა განაცხადა, რომ: **ორივე ტელეკომპანიამ („რუსთავი-2“ და „მაესტრო“), პირდაპირი ეთერი მე-16 წუთზე იმ ნორმის საფუძველზე შეწყვიტა, რომელიც მათივე დაჟინებული მოთხოვნით დარჩა კანონში. თუმცა, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ეს ნორმა უფლებას ანიჭებს მათ საინფორმაციო გამოშვება შეწყვიტონ მე-16 წუთიდან, მაგრამ ეს არც ერთ შემთხვევაში არ წარმოადგენს მათ ვალდებულებას. „რუსთავი-2“-ს და „მაესტროს“ შეეძლოთ გაეგრძელებინათ პირდაპირი ეთერი წყვეტის გარეშე.**

ამ განმარტებითაც ყველაფერია ნათქვამი.

1. ცხადია, რომ ნაცბანდა ყველანაირი მეთოდებით ცდილობს, საზოგადოებაში ანტისახელისუფლებო განწყობები კიდევ უფრო გააღვივოს. სამწუხაროდ ხელისუფლება კვლავ „პოლიტკორექტულობას“ ინარჩუნებს და სირაქლემას პოზიციაში ყოფნას ამჯობინებს. მარტო ის რად ღირს, რომ როდესაც დღევანდელ ხელისუფლებას რუსული ეკონომიკური ინტერესების გამტარებლებად მოიხსენიებენ, სოციალური ქსელის გარდა არც ერთი საინფორმაციო საშუალებით არ ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სტრატეგიული ობიექტები მიასხვისეს რუსეთს ყოფილი ხელისუფლების „პატრიოტებმა“.

1. ენგურჰესი – რუსული კომპანია „რაოესი“.
2) ჟინვალჰესი – რუსული კომპანია „რაოესი“.
3) რიონჰესი – რუსული კომპანია „ენერჯ ინვესტი“.
4) გუმბათი 1, გუმბათი 2 – რუსული კომპანია „ენერგო პრო“.
5) ლაჯანურჰესი – რუსული კომპანია „ენერგო პრო“.
6) შაორჰესი – რუსული კომპანია „ენერგო პრო“.
7) აჭარის წყალი – რუსული კომპანია „ენერგო პრო“.
8) ვარციხე 1 – რუსული კომპანია „ინტერ რაო“.
ვარციხე 2 – რუსული კომპანია „ინტერ რაო“.
ვარციხე 3 – რუსული კომპანია „ინტერ რაო“.
ვარციხე 4 – რუსული კომპანია „ინტერ რაო“.
9) ხრამი 1 – რუსული კომპანია „რაოესი“.
10) ხრამი 2 – რუსული კომპანია „რაოესი“.
11) ხრამი 3
12) ხრამი 4 – აშენებაც „რაოესს“ ევალება ხელშეკრულებით.
13) ხრამი 5
14) ყაზტრანსგაზ თბილისი – რუსული კომპანია „გაზპრომი“.
15) გაზგამანაწილებელი კომპანია „იტერა“ – რუსული კომპანია „გაზპრომის“ შვილობილი კომპანიაა.
16) შავ ზღვაში ნავთობისა და გაზის მომპოვებელი ფირმა „ალექსი“ – რუსული კომპანია „გაზპრომის“ შვილობილი კომპანიაა.
17) გარდაბნის მე-9 ენერგობლოკი – რუსული კომპანია „ინტერრაო“.
18) გარდაბნის მე-10 ენერგობლოკი – რუსული კომპანია „ინტერრაო“.
19) მაღალი ძაბვის გადამცემი 500-კილოვატიანი ხაზები – რუსული კომპანია „ინტერრაო“.
20) „მადნეული“ – რუსული კომპანია „პრომიშელ ინვესტი“.
21) „კვარციტი“ – რუსული კომპანია „პრომიშელ ინვესტი“.
22) საბორნე გადაზიდვები ფოთიდან და ბათუმიდან – „რუსეთის რკინიგზა“.
23) კომპანია „ბილაინი“ – რუსული კომპანია.
24) „აზოტი“ – რუსული კომპანია „პრომიშელ ინვესტი“.
25) „გაერთიანებული ქართული ბანკი“ – რუსული კომპანია „ვითიბი“.
26) „ლუკოილი“ – რუსული კომპანია“ ლუკოილი.“
27) ზესტაფონის „ფერო“ – რუსული კომპანია „პრომიშელ ინვესტი“.
28) ელმავალმშენებელი ქარხანა – რუსული კომპანია „დემა კომპიუტერი“.
29) თბილისის 31 საავადმყოფო „არამიანცის“ – რუსული კომპანია „ბატუსი“.
30) თბილისის წყალი – რუსული კომპანია „ჯორჯიან ვოთერ პაუერი“.

ამ ჩამონათვალში ძალიან საინტერესოა მობილური კავშირგაბმულობის კომპანია „ბილაინი“, რომლის შესახებაც თავის დროზე ვრცელდებოდა ინფორმაციები, რომ ამ კომპანიის 40%-ის მფლობელი მიხეილ სააკაშვილი იყო, მაგრამ ამაზე სხვა დროს. ახლა კი მინდა დავსვა ერთი მარტივი შეკითხვა: იმ პირობებში, როდესაც საშინელი აჟიოტაჟი არის ატეხილი ნაცმოძრაობის მხრიდან ფარული სატელეფონო ჩანაწერებისშესახებ და ის, თუ ვინ უნდა ფლობდეს ე.წ. „გასაღებს“, რამდენად უპრიანია, რომ მობილური კავშირის ერთ-ერთი მონოპოლისტი რუსული კომპანიაა და არსებობს საკმაოდ გონივრული ეჭვები სააკაშვილის ბიზნეს ინტერესების შესახებაც?

ცხადია ხელისუფლება ამ საკითხზე დუმილს ამჯობინებს, რადგანაც უმთავრესი ხომ „პოლიტკორექტულობაა“!

ამით ამ წერილს დავამთავრებ. თქვენ კი არაპოლიტკორექტულ კვირას გისურვებთ.

გია გაბრიჭიძე


ВЛ-3
ВЛ-3
ВЛ-3

ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №235

მვირფასი საფლავები

19- 23 მარტის პარიზული დღიური

სწორედ მარტის დღეებში, 1919 წლის 19 მარტს, აირჩიეს აფხაზეთის ეროვნული საბჭო, რომელმაც 20 მარტს დაადგინა: აფხაზეთი ავტონომიის სტატუსით შესულიყო საქართველოს შემადგენლობაში.

თუმცა, ეს ყოველივე ჯერჯერობით პროლოგია იმ ისტორიული დრამისა, რასაც ქართულ-აფხაზური ურთიერთობები ჰქვია და რამაც დროთა განმავლობაში წინააღმდეგობრივი, ორივე მხარისთვის სავალალო ხასიათი მიიღო.

მაშინ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარედ აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი არზაყან-დიმიტრი ემუხვარი...

და ასევე ცივი მარტის 24 რიცხვი დევნილობაში მყოფი პოლიტიკური ემიგრანტის – არზაყან ემუხვარის გარდაცვალების დღეა, რომელიც სრულიად საეჭვო ვითარებაში, სისხლის მოწამვლის დიაგნოზით, პარიზის სარ-ბერნარის საავადმყოფოს ერთ-ერთ პალატაში აღესრულა. გამოითქვა აზრი, რომ ის ბოლშევიკების აგენტებმა მოწამლეს მაშინ, როცა საფრანგეთის ემიგრაციასთან – აკაკი ჩხენკელთან, კონსტანტინე კანდელაკთან, გრიგოლ ურატაძესთან და სხვებთან ერთად, მომავლის გეგმებს აწყობდა და სათვისტომოს არჩევნებისთვის ემზადებოდა.

არზაყან ემუხვარის პიროვნული ხიბლი, პოლიტიკური იდეალები, პრინციპები და მომავლის ხედვა მიუღებელი გახდა იმ კასტისთვის, რომელიც ერთდროულად საქართველოს და აფხაზეთის მტრებად უნდა წარმოვიდგინოთ. არზაყანის ბიოგრაფიის თარიღები, ოჯახური დრამა თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობა ჩვენი სამშობლოს ყველაზე მწვავე ისტორიულ კატაკლიზმებს უკავშირდება.

1921 წელს, ანექსიის შემდგომ, საქართველოს დემოკრატიულ მთავრობასთან ერთად, კონსტანტინოპოლში, ემიგრაციაში მიემგზავრება. ერთი წლის მერე გადადის ჩეხეთში და 1927 – 1933 წლებში პრაღის ქართულ კოლონიას ხელმძღვანელობს.. 1939 წელს, საფრანგეთის ქართული ემიგრაციის მიწვევით, ჩადის პარიზში, სამშობლოსთვის ახალი პერსპექტივების ძიებაში, მაგრამ მალე მოულოდნელად იღუპება. არზაყან ემუხვარის საფლავი პარიზთან, ლევილის სასაფლაოზე, ქართული ემიგრაციის ძვალთშესალაგში, იქ სადაც აფხაზი წარმომავლობის გვარიშვილებიც განისვენებენ (შარვაშიძე, შაკაია, ლადი ემუხვარი და სხვები) კიდევ ერთი სიმბოლოა ჩვენი ისტორიული ერთიანობის...

პარიზის წმინდა ნინოს სახელობის ქართულ ეკლესიაში

იქ ლევილში, არზაყან ემუხვარის დაბადებიდან 135 წლისთავზე, მის საფლავზე მემორიალური დაფა გაიხსნა. იქამდე, იმავე დღეს პარიზის წმინდა ნინოს ეკლესიაში, ცნობილმა მოძღვარმა მამა არჩილ დევრიშაშვილმა არზაყან ემუხვარის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი აღავლინა. ეკლესიაში შეკრებილმა ქართული სათვისტომოს წარმომადგენლებმა, საქართველოს საელჩომ საფრანგეთში, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა გელა დუმბაძემ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს და აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლებმა დიდი პატივი მიაგეს აფხაზეთის ეროვნული მთავრობის პირველ მეთაურს. ქართველთა სათვისტომომ, საეკლესიო საგალობლების ფონზე, ეკლესიაში შემოიტანა ეროვნული დროშები. მათ შორის დამოუკიდებელი საქართველოს შინდისფერი დროშაც... გაისმა ჩვენი ძველი და დაუვიწყარი ჰიმნიც „დიდება“... იყო ცრემლიც, ერთობის სიხარულიც, წლებით დაუძლეველი ნოსტალგიაც...

ამაღელვებელი გახლდათ ლევილის ქართველთა სასაფლაოზე შეკრება, ემიგრანტების მიერ შესრულებული ქართული სიმღერების მელოდიებით, არზაყან ემუხვარის საფლავს ყვავილების თაიგულებით ამკობდნენ: აფხაზეთის სახელით – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელი ბატონი **ვახტანგ ყოლბაია**, საელჩოს სახელით, საქართველოს ელჩი საფრანგეთში ქალბატონი ეკატერინე სირაძე – დელონე, საფრანგეთის ქართული სათვისტომოს სახელით – ემიგრაციის ლიდერი ბატონი **ოთარ ზურაგიშვილი**, არზაყან ემუხვარის შთამომავალთა სახელით – ქალბატონი ნატო მარშანია...

ოთარ ზურაგიშვილი (პარიზის ქართული სათვისტომოს წინამძღოლი):

– ეს არის ჩვენთვის დიდი მომენტი, როცა ვიხსენებთ ადამიანს, რომელიც იყო დიდი აფხაზი, დიდი ქართველი, დიდი პატრიოტი. პატრიოტობა არ ნიშნავს აუცილებლად ხელში იარაღის აღებას. პატრიოტობა ხშირად გონებრივ შრომაში და სულისკვეთებაში გამოიხატება.

ბატონმა არზაყანმა განაგრძო აფხაზების და ქართველების ურთიერთობის დიდი მემკვიდრეობა, ოჯახური ქსელების ტრადიციები.

არზაყან ემუხვარმა ამ ურთიერთობაში შემოიტანა კანონიერი ჩარჩო. როცა იბადებოდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა, მან ამ კადრში და ჩარჩოში შეიყვანა აფხაზეთის ავტონომია.

ბატონ ვახტანგ ყოლბაია (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი):

– ძალიან ამაღელვებელი წუთებია. ძალიან მნიშვნელოვანია ის, რასაც აკეთებს ქართველთა სათვისტომო და საქართველოს საელჩო საფრანგეთში თუნდაც კონკრეტულად დღევანდელი დღისთვის. შეიძლება, 135 წელი ისტორიისთვის დიდი დრო არ არის, მაგრამ მთავარია ის, რომ არზაყან ემუხვარის 135 წლისთავს ჩვენ აღვნიშნავთ აქ, პარიზში, ევროპის შუაგულში. აღვნიშნავთ იმ ადამიანის დაბადების დღეს, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში დარჩენილიყო. ეს იყო დიდი საფუძველი. სხვებთან ერთად დიდი საძირკველი ჩაუყარა ამას არზაყან ემუხვარმა. პარიზში ჩამოვედი ჟენევიდან, სადაც შევხვდი აფხაზებს. მოგეხსენებათ, რთულია იმ დროს უკვე დაწყებული იყო იმპერიის მცდელობანი ჩვენი დაცილებისა. რუსები ცდილობდნენ მოეგლიჯათ აფხაზეთი საქართველოსთვის და ეს გრძელდება დღესაც.

ჩვენ ვეყრდნობით ბატონ არზაყანის და მის თანამოაზრეთა შექმნილ კანონიერ პოლიტიკურ საფუძველს, რომ ვუთხრათ აფხაზებს, ძმურად ვუთხრათ, რომ ერთად ვართ. იმ კავკასიურ სივრცეში ჩვენ აფხაზები და ქართველები ერთად ვართ, ყველა კავკასიურ ტომთან ერთად და ჩვენი ბრძოლა გრძელდება. გაუმარჯოს საქართველოს! გაუმარჯოს აფხაზეთს!

ვახტანგ ყოლბაია (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი):

– ძალიან ამაღელვებელი წუთებია. ძალიან მნიშვნელოვანია ის, რასაც აკეთებს ქართველთა სათვისტომო და საქართველოს საელჩო საფრანგეთში თუნდაც მოლაპარაკების პროცესები. მე ვუთხარი მათ, რომ მოვდიოდი პარიზში, მოვდიოდი მათი თანამემამულის არზაყან ემუხვარის საფლავზე, რომ ამ პროცესში ჩართული იყო ჩვენი მთავრობა, სათვისტომო, საელჩო... და ვუთხარი, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ახლა აფხაზეთთან მიმართებაში სხვადასხვა პლატფორმაზე ვდგავართ, გვაქვს საერთო კულტურა, საერთო ფესვები. ეს დღე ძალიან მნიშვნელოვანია და მინდა ვიყო დარწმუნებული, რომ ყველაფერი, რაც ახლა აქ ხდება, ამაოდ არ ჩაივლის და ხვალინდელი დღე აფხაზებისთვისაც და ქართველებისთვისაც იქნება უკეთესი, ვიდრე არის.

გელა დუმბაძე (დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი):

– არზაყან ემუხვარი, გარდა მისი პოლიტიკური სტატუსისა, რომ იყო აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე და საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, გახლდათ უდიდესი ქართული რომანის, „მთვარის მოტაცების“ მთავარი გმირის პროტოტიპი. ეს არის ის ნაწარმოები, რომელზეც კიდევ ძალიან ბევრი ითქმის და დაიწერება. თავის დროზე, როდესაც ჩვენი აფხაზი ძმები და დები ერთად ვიქნებით, არზაყანი ყველას გააერთიანებს. მთავარი ადამიანთა ერთობაა. მის მერე არის უკვე მიწის ფასეულობაც, ზღვის ფასეულობაც. მთავარი ფასეულობა არის ადამიანი, მისი ქედუხრელი გმირობა, ნათელი მაგალითები. არზაყან ემუხვარის ცხოვრების გზა სამაგალითოა მომავალი თაობებისთვის. მან დაგვიტოვა იმ დიალოგის საფუძვლები, რომელსაც თავისი ცხოვრებით და პრინციპებით აწარმოებდა. ბიბლიაში ნათქვამია, რაც შეუძლებელია კაცთათვის, შესაძლებელია ღმერთისთვის. ხშირად ხდებოდა ამგვარი რამ საქართველოს ისტორიაში.

მე ძალიან დიდი იმედი მაქვს ამ ძალისხმევაში ჩვენი სათვისტომოების მონაწილეობის, ისტორიის მონაწილეობის. ძალიან დი-

საფრანგეთის ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი ლიდერი ოთარ პატარიძე (შუაში) პარიზის ქართული ეკლესიის მრევლთან ერთად მღერის „დიდებას“...

ოთარ ზურაბიშვილი, საფრანგეთის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე

შეგვარიგებს...

მოძღვარი მამა არჩილ დავრიშაშვილი, საქართველოს სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი საფრანგეთში ეკატერინე სირაძე-დელონე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, არზაყან ემუხვარის შთამომავალი ნატო მარშანია, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გელა დუმბაძე, საფრანგეთში ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე ოთარ ზურაბიშვილი.

დი იმედი მაქვს ამ ძალისხმევაში სრულიად საქართველოსი. ლევილში ვიგრძენი, რომ დიდი ადამიანების საფლავების ქვებიც კი ღაღადებენ, რაღაცისკენ მოგვიწოდებენ. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ სრულიად ქართული მენტალიტეტი წავა წინ და საერთო საკითხებზე მოხდება კონსენსუსი და ერთობა. ჩვენმა სამინისტრომ განაცხადა თავისი კონცეპტი: ჩვენ გვაძლიერებს ის, რაც გვაერთიანებს.

გოგი ჯავახიშვილი (საფრანგეთში საქართველოს ელჩის მოადგილე):

– არზაყან ემუხვარს უთქვამს, რომ მე არ მინდა არც პატარა და არც დიდმა წყალმა წაიღოს აფხაზეთიო და მინდა, რომ ის განვითარდეს თავის გუნებრივ, ორგანულ გარემოშიო.

მინდა, მისი ხსოვნის წინაშე ქედი მოვიხარო. მინდა, რომ მომავალმა თაობებმა იცოდნენ, რომ იყო ასეთი ვაჟკაცი ადამიანი, მართლაც ქედუხრელი რაინდი (ვაჟკაცობა ხომ ზოგადად ახასიათებს აფხაზებს), იცოდნენ, როგორ უყვარდა მას თავისი აფხაზეთი და როგორ უყვარდა თავისი საქართველო.

გიორგი მარჯანიშვილი (საფრანგეთში მცხოვრები ისტორიკოსი და ხელოვნებათმცოდნე):

– ვინც ქართული მწერლობა იცის, იმან თარაშ ემუხვარიც იცის, პროტოტიპი არზაყან ემუხვარისა, რომელსაც იმ ისტორიულ არეალში მოუწია ცხოვრება, როცა ლენინის კომუნისტური ინტერნაციონალი ანგრევდა დედამიწას. ამ დროს ეს კაცი დაუპირისპირდა ამგვარ საშინელ ძალას, ამ ინტერნაციონალს. ემუხვარი იყო დემოკრატი და უნდოდა დაცული ყოფილიყო მთელი ხალხის ინტერესები და არა მოსახელობის ცალკეული კატეგორიების.

ის იყო დავითისა და შოთა რუსთაველის საქართველოს მემკვიდრე. იმდროინდელი კავკასიის მემკვიდრე, როგორც პოლიტიკურად, ისე სულიერად. ეს პოლიტიკურად გამოიხატა იმაში, რომ არზაყან ემუხვარი გახლდათ საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, მოაწერა ხელი საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს და ამავე დროს არჩეულ იქნა აფხაზეთის სახალხო საბჭოს თავმჯდომარედ. ამავე დროს მან მოაწერა ხელი აფხაზეთის ავტონომიის სტატუსს დემოკრატიული საქართველოს შემადგენლობაში, ანუ იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური სახე გამოხატა. ამიტომაც ის დაისაჯა, ხალხის მტრად გამოცხადდა, იძულებული გახდა საქართველოდან წასულიყო. მისი ერთი შვილი დახვრიტეს, რადგან მამამისისგან წერილებს იღებდა. არზაყან ემუხვარი მოულოდნელად პარიზში გარდაიცვალა, სწორედ იმ დროს, როცა მოკლეს ნოე რამიშვილი, და საფრანგეთის პრეზიდენტი დიუმაც... არზაყანი ნამდვილად მოწამლული იყო. ეს დიდი ადამიანი, რუსეთთან დაპირისპირებული, დიდი კავკასიის მემკვიდრე გახლდათ. ასეთი ხალხი გვაკლია დღეს და ღმერთმა ქნას, დრომ გამოაჩინოს.

ნატო მარშანია

ეკატერინე სირაძე-დელონე (საქართველოს სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი საფრანგეთში):

– ბატონი არზაყან ემუხვარი გახლდათ ძალიან მნიშვნელოვანი, დიდი პიროვნება. მოხარული ვარ, რომ ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ შესაბამისად, ღირსეულად ჩატარებულიყო დღევანდელი დღე. გადახდილ იქნა პარიზის ქართულ ეკლესიაში პანაშვიდი და ლევილის პანთეონში აღდგა მისი საფლავი. ეკლესია, სათვისტომო, საელჩო, ყველანი ვიყავით მოცული იმ განცდით, რომ ეს რიტუალი სათანადოდ ჩატარებულიყო. არზაყან ემუხვარი ბუნებრივად ხედავდა აფხაზეთს მომავალ საქართველოსთან. იყო ერის კაცი, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე კაცი. ის, რომ პატივი მივაგეთ მას, ნიშნავს, რომ პატივი ვეცით ჩვენს ისტორიას, ჩვენი და აფხაზების ერთობლივ ისტორიას...

ნატო მარშანია (არზაყან ემუხვარის შთამომავალი):

– დიდი ხანია ამ დღეზე ვოცნებობდი და ეს ნატვრა ამისრულდა. ვარ ძალიან აღელვებული და უაღრესად მადლიერი ყველას მიმართ, ვინც აქ ბრძანდებით... მადლობა აფხაზეთის მთავრობას, ქართველთა სათვისტომოს საფრანგეთში, საქართველოს საელჩოს საფრანგეთში.. მადლობა მათ, ვინც არზაყან ემუხვარზე მონოგრაფიული წიგნის შედგენაში დამეხმარა. განსაკუთრებით მადლობა ამისთვის ბატონ გიორგი მამულიას...

ვღელავ, იმიტომაც, რომ ვარ პირველი შთამომავალი, რომელმაც მოახერხა არზაყანის საფლავზე მისულიყო...

„სალ კლდეს“ უწოდებდნენ არზაყან ემუხვარს, ვისი კრედოც მისივე სიტყვებში გამოიხატა: „ვინც საქართველოს და აფხაზეთის პოლიტიკურ ისტორიას იცნობს, მისთვის შეუძლებელია მათი განცალკევების თუნდაც უბრალო წარმოდგენა.

მისდამი პატივის მიგებისთვის კიდევ ერთხელ, უღრმესი მადლობა ყველას!

„რეკვიემი“ – ასე ერქვა ფერწერულ კომპოზიციას, რომელიც სოხუმიდან დევნილმა შესანიშნავმა მხატვარმა **ნუგზარ მგალობლიშვილმა** მიუძღვნა აფხაზეთის ტრაგედიას. ეს დიდი ფერწერული ტილო აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ბატონმა **ჯემალ გამახარიამ** საფრანგეთში საქართველოს საელჩოს, ჩვენი სამშობლოს უკეთესი მომავლის იმედით და რწმენით გადასცა.

„მე იმ გვარის კაცი ვარ, ვისაც უკან დახევა არ ჩვევია... „– ამბობს თარაშ ემუხვარი, „მთვარის მოტაცების“ მთავარი პერსონაჟი, რომელიც კონსტანტინე გამსახურდიას განმარტებით, მაღალი იდეალების მატარებელი „კეთილი აფხაზის“ პროტოტიპი გახლავთ.

P. S. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და თბილისის მერიის ხელშეწყობით, საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების“ თანამშრომლები, „სტუდია ავტოგრაფი“ ამზადებს დოკუმენტურ ფილმს არზაყან ემუხვარის საიუბილეო თარიღისთვის. პრემიერა შედგება ამა წლის ოქტომბერში.

ლევილის სასაფლაო

პარიზი, შატო, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის დედანი.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ევროკავშირი დაბეჯითებით მოითხოვს კანონის ლიბერალიზაციას აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის შესახებ

საქართველოს ხელისუფლებას ევრო-ინტეგრაციული პროცესებისაგან მეტი თავის ტკივილი აქვს, ვიდრე დივიდენდები

საქართველოს მთავრობის დელეგაცია აგრძელებს ვიზიტს ბრიუსელში, სადაც გაიმართა ანგარიშით მესამე სტრატეგიული დიალოგი ევროკავშირთან. მოლაპარაკებაზე განიხილებოდა საკითხები, რომლებიც შეეხებოდნენ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, სავიზო რეგულაციებს, რომლებიც თბილისმა შემოიღო ევროკავშირის რეკომენდაციით, ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის შესაძლო შემოღებას საქართველოს მოქალაქეებისათვის რიგაში სამიტზე „აღმოსავლური პარტნიორობა“ მიმდინარე წლის მაისში. სხვათა შორის, ევროკავშირის ქვეყნებში თავისუფალ მგზავრობასთან დაკავშირებით საქართველოს მოქალაქეებს მოუწევთ მოიცადონ — რიგის სამიტზე გადაწყვეტილება უვიზო რეჟიმის შესახებ ძნელად რომ იყოს გამოცხადებული.

მორიგი სტრატეგიული დიალოგის მსვლელობის დროს საქართველომ კვლავ მიიღო ევროკავშირის მთელი რიგი რეკომენდაციები, რომელთა შესრულებაც ქვეყანაში არაერთგვაროვან რეაქციას გამოიწვევს. მოლაპარაკება მიმდინარეობდა დახურულ რეჟიმში და ხუთ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. როგორც ჟურნალისტებს ბრიუსელში მყოფმა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორუფლებიანობის სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა აცნობა, ევროკავშირი თბილისისგან ელოდება ლიბერალური ცვლილებების შეტანას კანონში აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის შესახებ.

კონკრეტულად რას მოითხოვს ძველი სამყარო საქართველოსგან, ჯერჯერობით მეტად გაურკვეველია. ბუნდოვანი ფორმულირება იმის შესახებ, რომ საქართველოს კონტროლქვეშ არმყოფი ავტონომიების მცხოვრებლებმა ასევე უნდა მიიღონ სიკეთე საქართველოს შეთანხმებიდან ევროკავშირთან, არაფერზე არ მეტყველებს. თავად ზაქარეიშვილმაც განსაკუთრებული სიცხადე ვერ შეიტანა ამ საქმეში, განაცხადა: „ხმები იმის შესახებ, რომ ცვლილებები მიღებული იქნება რუსეთის ინტერესებისათვის, არ შეესაბამება სიმანამდვილეს. ცვლილებებით დაინტერესებულია ევროკავშირი“.

თავად საქართველოში ვარაუდების უკმარისობა არაა. განსაკუთრებით აქტიურია ოპოზიცია ხელისუფლების ყოფილი პარტიის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სახით. გაჩნდა აზრი იმის შესახებ, რომ კანონის ლიბერალიზაციის შედეგად შეიძლება გახდეს იმ პირთა დევნის შეწყვეტა, რომლებიც თბილისის უნებართვოდ შედიან აფხაზეთში ან სამხრეთ ოსეთში, კომპანიების მიმართ, რომლებსაც აქვთ ბიზნესინტერესები ამ ტერიტორიებზე, ან ექსავტონომიის მცხოვრებთათვის ისეთივე ან თითქმის ისეთივე უფლებების მინიჭება, რომლებიც ექნებათ დანარჩენი საქართველოს მცხოვრებლებს ევროკავშირთან ურთიერთობებში. ზაქარეიშვილის სიტყვებით, ევროკავშირი „ერთმნიშვნელოვნად იძლევა რეკომენდაციას შევიტანოთ ცვლილებები კანონში“. სახელმწიფო მინისტრმა აღნიშნა, რომ მისმა უწყებამ დაამუშავა კანონის ვარიანტი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობის შემსუბუქებას სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან კონტაქტებისთვის და გამოთქვა იმედი, რომ საქართველოს პარლამენტი გაითვალისწინებს ევროკავშირის მოთხოვნებს და მიიღებს შესწორებებს.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა თამარ ბერუჩაშვილმა დააზუსტა, რომ ევროკავშირის რეკომენდაციები, რომლებიც შეეხება „ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობას, განსაკუთრებულ შესწავლას მოითხოვენ“. „ეს ახალი თემაა, რომელიც დამატებით რესურსებს, განხილვებს მოითხოვს“, თქვა მან. მისი სიტყვებით, შეხვედრაზე განიხილებოდა აგრეთვე რეგიონში უშიშროების პრობლემატიკა, საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ასოციატიური შეთანხმების იმპლემენტაციასთან, საქართველოში ევროკავშირის სამეთვალყურეო მისიის მუშაობასთან, აგრეთვე ჟენევის მრავალმხრივ კონსულტაციებთან რეგიონში დაძაბულობის პრევენციისა და რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების შესახებ კარასინ-აბაშიძის ფორმატში, რომლის გაგრძელების რეკომენდაციაც მისცეს საქართველოს მხარეს.

მოლაპარაკება ბრიუსელში, რასაკვირველია, პარტნიორული ხასიათისაა, იგი ქართული მხარისათვის მძიმედ მიმდინარეობს. საქართველოს და ევროკავშირის ასოციაციის შესახებ შეთანხმება თბილისისაგან მოითხოვს უამრავი რეკომენდაციების შესრულებას. ზოგიერთი მათგანი არაა პოპულარული როგორც თავად საქართველოში, ისე სამხრეთ კავკასიის რეგიონში, რომლის ყველა მხარეც გულმოდგინედ როდი აგებს საგარეო პოლიტიკურ ვექტორს დასავლური მიმართულებით. სტრატეგიული დიალოგის თითოეული რაუნდის თავისებურება არის ის, რომ საქართველოს ხელისუფლებას, რომელიც ასრულებს ამ რეკომენდაციებს, ხშირად არაფერი აქვს საპასუხოდ ოპონენტებისთვის, რომლებიც აკრიტიკებენ მთავრობას მნიშვნელოვანი დივიდენდების უქონლობაში ევროკავშირთან ინტეგრაციულ პროცესში.

მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინათ ბრიუსელის რეკომენდაციით ხელისუფლებამ გადასინჯა უკიდურესად ლიბერალური სავიზო რეჟიმი, რომელიც ჯერ კიდევ სააკაშვილის მთავრობამ შემოიღო, გამკაცრების მიმართულებით. სავიზო რეგულაციები ზოგიერთ ქვეყანასთან დარჩა, არსებითად, უცვლელად, სხვებთან გართულდა, მესამე ქვეყნებთან — მეტად მაღალ ხარისხში. ამ პირობით მესამე ჯგუფში აღმოჩნდნენ ჩინეთი, ინდოეთი და მეზობელი ირანი.

უვიზო რეჟიმმა, რომელიც დამყარდა თბილისსა და თეირანს შორის, ხელი შეუწყო ტურისტული ნაკადების გაზრდას. კომფორტულად გრძნობდა თავს საქართველოში ბიზნესიც. ახალი რეგულაციები აისახა ტურისტულ სფეროზეც — ირანის მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებიც საქართველოში შემოდის, შემცირდა, და ბიზნესზეც. თუ ადრე, მეწარმეები იმყოფებოდნენ ქვეყანაში თავისუფალი რეჟიმით, იწყებდნენ საქმეებს და ცხოვრობდნენ ბიზნეს-საკითხებით, ახლა მათ დაემატა შეზღუდვები საქართველოში ყოფნის განუწყვეტელი ვადების გამო, შესვლა-გასვლის პრობლემები და სხვა მატერიალური სირთულეები, რომლებმაც მოახდინეს არსებული პლუსების ლივერილება. სიახლეები ევროკავშირის რეკომენდაციით აისახა თბილისისა და თეირანის პოლიტიკურ ურთიერთობებზეც, მათში შეინიშნება გაციება, იქამდეც კი, რომ მხარეებმა გაცვალეს განცხადებები, რომლებსაც ვერ უწოდებ კეთილი მეზობლების ურთიერთობებს.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა არ უშვებს ხელიდან შესაძლებლობას მიიღოს სარგებელი იმ მდგომარეობიდან, რომელშიც აღმოჩნდა მმართველი „ქართული ოცნება“. თუმცა, ძნელად რომ არ ესმოდეს სირთულეების ობიექტური ხასიათი, რომელთა გამოც ხელისუფლებას მოუწია გაეღო ერთგვარი ხარკი ვთქვათ, ირანთან ურთიერთობაში. პარლამენტში ხშირად გაისმოდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მოწოდებები ხელისუფლებისადმი — არ გაუშვას ხელიდან ისტორიული შანსი რიგაში, სადაც სამიტზე თითქოს უნდა გაუღერდეს შეთანხმება უვიზო რეჟიმის შესახებ ევროკავშირსა და საქართველოს შორის. ის, რომ იგი არ იქნება, ოფიციალურად არ არის გამოცხადებული, ყველა დონეზე კი არის ცნობილი, რომ უვიზო რეჟიმი ჯერჯერობით არ იქნება შემოღებული არც უკრაინასთან, არც საქართველოსთან. ადვილი წარმოსდაგენია, რომ საქართველოს ყოფილი ხელისუფლება ბრალს სდებს თავის მემკვიდრეებს ინტეგრაციული ხაზის ჩავარდნაში, რომლისთვისაც უკვე მომზადებულია ნიადაგი. გულუბრყვილო ობივატელისთვის კი, გამოდის ბანალური სურათი: მთავრობა მოქმედებს ისე, რომ არ იცავს ეროვნულ ინტერესებს.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

დედამიწის ზურგზე

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო: „ირანისთვის სანქციების მოხსნის გრაფიკის საკითხი საბოლოოდ არ გადაწყვეტილა“

საფრანგეთის საგარეოპოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა ლორან ფაბიუსმა განაცხადა, რომ დასავლეთის ქვეყნებს ჯერ არ მიუღიათ საბოლოო გადაწყვეტილება ირანის წინააღმდეგ სანქციების შესუსტების შესახებ. გადაწყვეტილება დამოკიდებულია თეირანის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა დაცვაზე.

ბრიტანეთის შვიდი პარტიის ლიდერები შეთანხმდნენ მთავარ წინასაარჩევნო დებატებში

ამჟამინდელი კამპანიის ყველაზე მასობრივმა დებატებმა აშკარა ლიდერი ვერ გამოავლინეს: მათი შედეგებით მაყურებელთა სიმპატიები ცდილობდნენ გამოევლინათ ოთხი გამოკითხვით და ყველამ სხვადასხვა გამარჯვებული მიუთითა. ასეთი განაწილება შეიძლება ხელსაყრელი იყოს კონსერვატორების ლიდერისათვის, ამჟამინდელი პრემიერის დევიდ კემერონისათვის.

ნეთანიაჰუ: ირანთან შეთანხმება ისრაელის არსებობას საფრთხეს უქმნის

ისრაელის პრემიერი გახდა ერთ-ერთი პირველი მათგან, ვისთანაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განიხილა შემაჯამებელი შეთანხმება იმის მცდელობაში, რომ შეამცირონ ისრაელის შეშფოთება, რომელიც ირანის იზოლაციისათვის გამოდის.

ამერიკელი სასნაულებრივ გადარჩა, როდესაც ორზე მეტი თვე იალქნიან ხომალდზე ღია ზღვაში იმყოფებოდა

ლუის ჯორდანი ზღვაში მოხვდა სამხრეთი კაროლინის სანაპიროებზე იანვრის ბოლოს, როდესაც სათევზაოდ წავიდა პატარა იალქნიანი ნავით. 66 დღის შემდეგ, იგი აღმოაჩინა გერმანულმა სატვირთო ხომალდმა ნაპირიდან ასობით კილომეტრის დაშორებით. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მამაკაცი იკვებებოდა უმი თევზით და სვამდა წვიმის წყალს.

საქმე №2/2888-15

1647096040542
www.info.court.ge

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით
საჯარო შეტყობინების შესახებ

24.02.2015 ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლო
სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე თამაზ ურთმელიძე

განმცხადებელი: არტურ სულამანიძე

მოთხოვნის არსი: თამასუქის ძალადაკარგულად გამოცხადება

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა ადგილობრივ გაზეთში საჯარო შეტყობინების გამოქვეყნების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

2015 წლის 19 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განცხადებით მომართა არტურ სულამანიძემ და მოითხოვა 2014 წლის 19 თებერვალს გაცემული თამასუქის №-024606 ძალადაკარგულად გამოცხადება და მასზე უფლების აღდგენა.

განცხადებაში აღნიშნულია შემდეგი: დაკარგული თამასუქი №-024606 წარმოადგენდა 19.02.2014 წელს გაცემულ A4 ფორმატის სპეციალურ ფურცელს, რომელზედაც გამცემი კომპანიის - შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „რიკო ექსპრესი"-ს ლოგოს და დასახელების შემცველი ოქროსფერი სტიკერია დაშტამპული. აღნიშნული თამასუქით გადასახდელად სავალდებულო თანხას წარმოადგენდა 16000 (თექვსმეტი ათასი) აშშ დოლარი, რომელიც უნდა გადახდილიყო 19.02.2015 წელს . თამასუქს ერიცხებოდა წლიური 10% სარგებელი, სათამასუქო თავდებობას ახორციელებდა შპს „რიკო კრედიტი". განმცხადებლის განმარტებით თამასუქი დაეკარგა სახლში გაურკვეველ ვითარებაში. თამასუქის აღდგენის და შესაბამისი თანხის განაღდების/დაბრუნების მოთხოვნით მიმართა თამასუქის გამცემ ორგანიზაციას, თუმცა უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. განმცხადებელი ითხოვს თამასუქის ძალადაკარგულად გამოცხადებას და მასზე უფლების აღდგენას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 330-ე მუხლის თანახმად, დაკარგულ ან განადგურებულ საწარმდგენლო ფასიან ქაღალდსა და საორდერო ფასიან ქაღალდზე უფლების აღდგენის შესახებ განცხადების მიღების შემდეგ მოსამართლე გამოიტანს განჩინებას საბუთის გამცემი დაწესებულებისათვის (პირისათვის) ამ საბუთით ყოველგვარი გადახდისა და გაცემის წარმოების აკრძალვის შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 330-ე მუხლის თანახმად, დაკარგულ ან განადგურებულ საწარმდგენლო ფასიან ქაღალდსა და საორდერო ფასიან ქაღალდზე უფლების აღდგენის შესახებ განცხადების მიღების შემდეგ მოსამართლე გამოიტანს განჩინებას განმცხადებლის ხარჯზე ადგილობრივ პრესაში პუბლიკაციის შესახებ.

სსსკ-ის 331-ე მუხლის თანახმად, პუბლიკაცია უნდა შეიცავდეს:
ა) იმ სასამართლოს დასახელებას, რომელშიც შეტანილია განცხადება საბუთის დაკარგვის შესახებ;
ბ) განმცხადებლის დასახელებასა და მის საცხოვრებელ ადგილს;
გ) საბუთის დასახელებასა და განმასხვავებელ ნიშნებს;
დ) წინადადებას იმ საბუთის ხელთმქონის მიმართ, რომლის დაკარგვის შესახებაც შეტანილია განცხადება, რომ მან პუბლიკაციის დღიდან სამი თვის განმავლობაში შეიტანოს განცხადება სასამართლოში ამ საბუთზე თავისი უფლების შესახებ.

სსსკ-ის 332-ე მუხლის თანახმად, იმ საბუთის ხელთმქონე, რომლის დაკარგვის შესახებაც განცხადებულია, ვალდებულია პუბლიკაციის დღიდან 3 თვის ვადის გასვლამდე განჩინების გამომტან სასამართლოში შეიტანოს განცხადება საბუთზე თავისი უფლების შესახებ და ამასთან ერთად წარადგინოს საბუთის დედანიც.

სსსკ-ის 333-ე მუხლის თანახმად, თუ საბუთის ხელთმქონემ პუბლიკაციის დღიდან 3 თვის ვადის გასვლამდე შეიტანა სასამართლოში განცხადება, სასამართლო განცხადებას საბუთის დაკარგვის შესახებ სასამართლო განუხილველად დატოვებს და დაადგენს ვადას, რომლის განმავლობაშიც საბუთის გამცემ დაწესებულებას (პირს) აუკრძალავს აწარმოოს ამ საბუთით გადახდა და გაცემა. ეს ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 2 თვეს. იმავდროულად სასამართლო განუმარტავს განმცხადებელს მის უფლებას აღძრას სარჩელი საბუთის გამოთხოვის შესახებ საერთო წესით იმ პირის მიმართ, ვისაც ხელთა აქვს საბუთი, ხოლო ამ უკანასკნელს — მის უფლებას გადაახდევინოს განმცხადებელს ზარალი, რაც გამოწვეულია აკრძალვის ღონისძიებით. სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

სსსკ-ის 334-ე მუხლის თანახმად, საქმეს დაკარგული საბუთების ბათილად ცნობის შესახებ სასამართლო განიხილავს პუბლიკაციის დღიდან 3 თვის ვადის გასვლის შემდეგ, თუ საბუთის ხელთმქონისაგან არ შემოვიდა 332-ე მუხლში მითითებული განცხადება.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 330-334-ე, 284-ე, 285-ე, 414-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. გამოქვეყნდეს საჯარო შეტყობინება (ცნობა) შემდეგი სახით:

1.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის (მოსამართლე თამაზ ურთმელიძის) წარმოებაშია №2/2888-15 სამოქალაქო საქმე, არტურ სულამანიძის განცხადებისა გამო, თამასუქის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

1.2. განმცხადებელია არტურ სულამანიძე, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, დიღმის მასივი, V კვარტალი, კორპუსი 20 , ბინა 6 ;

1.3. დაკარგულია ფასიანი ქაღალდები — თამასუქის, რომლის ნიშნებია:

1. ნომერი №-024606;
2. თამასუქების გამცემი — მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „რიკო ექსპრესი";
3. თამასუქის შედგენის თარიღი 2014 წლის 19 თებერვალი. თამასუქის შედგენის ადგილი — ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №68/70;
4. უპირობო ვალდებულება მითითებული ფულადი თანხის გადახდის შესახებ — 16 000 (თექვსმეტი ათასი) აშშ დოლარი.
5. პირი, რომელსაც თანხა უნდა გადაუხადონ: არტურ სულამანიძე, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, დიღმის მასივი, V კვარტალი, კორპუსი 20 , ბინა 6;

1.4. იმ საბუთის ხელთმქონე, რომლის დაკარგვის შესახებაც განცხადებულია, ვალდებულია პუბლიკაციის დღიდან 3 თვის ვადის გასვლამდე განჩინების გამომტან სასამართლოში შეიტანოს განცხადება საბუთზე თავისი უფლების შესახებ და ამასთან ერთად წარადგინოს საბუთის დედანიც.

2. თუ საბუთის ხელთმქონემ პუბლიკაციის დღიდან 3 თვის ვადის გასვლამდე შეიტანა სასამართლოში განცხადება, სასამართლო განცხადებას საბუთის დაკარგვის შესახებ სასამართლო განუხილველად დატოვებს და დაადგენს ვადას, რომლის განმავლობაშიც საბუთის გამცემ დაწესებულებას (პირს) აუკრძალავს აწარმოოს ამ საბუთით გადახდა და გაცემა. ეს ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 2 თვეს. იმავდროულად სასამართლო განუმარტავს განმცხადებელს მის უფლებას აღძრას სარჩელი საბუთის გამოთხოვის შესახებ საერთო წესით იმ პირის მიმართ, ვისაც ხელთა აქვს საბუთი, ხოლო ამ უკანასკნელს — მის უფლებას გადაახდევინოს განმცხადებელს ზარალი, რაც გამოწვეულია აკრძალვის ღონისძიებით.

3. საქმეს დაკარგული საბუთების ბათილად ცნობის შესახებ სასამართლო განიხილავს პუბლიკაციის დღიდან 3 თვის ვადის გასვლის შემდეგ, თუ საბუთის ხელთმქონისაგან არ შემოვიდა 332-ე მუხლში მითითებული განცხადება.

4. საჯარო შეტყობინება (ცნობა) გამოქვეყნდეს ადგილობრივ გაზეთში.

5. განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

მოსამართლე: თამაზ ურთმელიძე

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2015 წლის 2 ივნისს, 12 საათზე, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: დ. მესტია, სეტის მოედანი №1), გაიმართება 280 მგვტ სიმძლავრის ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

პროექტის გავლენის ზონაში მოქცეული ჭუბერის და ნაკრას თემებში გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართება 2015 წლის 1 ივნისს, კერძოდ:

- **ნაკრას თემის სათემო ცენტრში - 2015 წლის 1 ივნისის 12 საათი;**
- **ჭუბერის თემის სათემო ცენტრში - 2015 წლის 1 ივნისის 16 საათი.**

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია მდ. ნენსკრას ხეობაში 280 მგვტ დადგმული სიმძლავრის, სეზონური რეგულირების ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა და ექსპლუატაცია.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში — დაბა მესტია, სეტის მოედანი №1;**
- **შპს „ნენსკრას" ოფისში — ქ. თბილისი 0108, უკოლ ბერიძის ქ №6.**
- **შპს „გამა კონსალტინგის" ოფისში - ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი 17ა. ტელ: 2 60 15 27.**

საზოგადოებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღე.

სს „ნენსკრას" ადმინისტრაცია

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქუჩა № 2ა, მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება, ორი ათას თოთხმეტი წლის ოცდაცხრა აგვისტოს გარდაცვლილი ქალბატონი ნინა ფროლოვას (პირადი № 61001022798) მცხ. ქ. ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №51/55, ბინა №61) მიმართ, გთხოვთ, დაინტერესებულ პირებს მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქუჩა №2ა, ნოტარიუსი ვალიდა ნინიძე.

ნოტარიუსი
ვალიდა ნინიძე

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2015 წლის 25 მაისს 14 საათზე ქ. თბილისში იუმაშევის ქ. №3-ში გაიმართება შპს „ამტ-98"-ის (ს/კ 208188325) კუთვნილ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, იუმაშევის ქ. №3) 2800მ³ მოცულობის ნავთობბაზის მშენებლობის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა.

აღნიშნულის მიზანს წარმოადგენს მითითებულ ტერიტორიაზე 2800მ³ ნავთობბაზის მშენებლობა.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართზე:

— ქ. თბილისი, იუმაშევის ქ. № 3

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

საკონტაქტო პირი: მალხაზ ბარამიძე - მობ: 574 07 32 77

შპს „ამტ-98"-ის ადმინისტრაცია

◎ რაგბი

„აია“ დაზარალდა

საქართველოს მორაგბეთა ეროვნულ ჩემპიონატში 10 გუნდი მონაწილეობს. რეგულარული გათამაშება დღეს ბოლო ტურით დასრულდება. უკვე გარკვეულია, რომ „თიბილისი“ გაისად პირველ ლიგაში დაქვეითდება, „არმია“ კი გადათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას. ასევე ცნობილია ის ხუთი გუნდი, რომლებიც მედლებისთვის განაგრძობენ ბრძოლას. მე-ექვსე ვაკანტური ადგილისთვის ქუთაისის „აია“ და თბილისის „არმაზი“ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. რიონისპირელებიც, ფაქტობრივად, ფინალში იყვნენ, რადგან მე-17 ტურში რუსთავის „ხარები“ დაამარცხეს, მაგრამ ამ ორთაბრძოლისას „აიას“ ცრუ შერკინების წესი დაურღვევია, რაზეც „ხარებმა“ პროტესტით მიმართა სადისციპლინო კომისიას. ამ უკანასკნელის გადაწყვეტილებით, ქუთაისელებს წაგება ჩაეთვალათ და ქულა ჩამოაკლდათ. „ხარები“ მე-4 ადგილზე აღზევდა, „აია“ კი მე-6 ადგილზეა და დღეს თბილისის „არმაზთან“, რომელსაც ოთხი ქულით უსწრებს, ფრეც ხელს აძლევს.

XVIII ტური. „ჯიქი“ – „თიბილისი“, „არმია“ – „ლელო“, „ლოკომოტივი“ – „ბათუმი“, „ყოჩები“ – „ხარები“, „აია“ – „არმაზი“.

ლექსო ცინცაძე

სატურნირო მდგომარეობა ბოლო ტურის წინ

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
„ყოჩები“	17	12	1	4	+126	54
„ლელო“	17	11	3	3	+106	52
„ბათუმი“	17	10	1	6	+83	49
„ხარები“	17	9	2	7	+84	45
„ლოკომოტივი“	17	8	1	8	+53	44
„აია“	17	9	0	8	+71	42
„არმაზი“	17	8	1	8	-19	38
„ჯიქი“	17	6	2	9	-21	31
„არმია„	17	4	1	12	-161	22
„თიბილისი“	17	2	0	15	-322	11

◎ ჭადრაკი

მსოფლიოსთვის ემზადებიან

წლეულს 18-29 აპრილს უკრაინის, რუსეთის, ჩინეთის, საქართველოს, სომხეთის, ყაზახეთის, პოლონეთის, აშშ-ის, ეგვიპტისა და ინდოეთის მოჭადრაკე ქალთა ნაკრებები გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატში იასპარეზებენ, რომელიც ჩინურ ჩენგდუში გაიმართება. ამ შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით ითამაშებს: ბელა ხოტენაშვილი (2513), ლელა ჯავახიშვილი (2481), ნინო ბაციაშვილი (2475), სალომე მელია (2459) და მერი არაბიძე (2374). მთავარი მწვრთნელია საერთაშორისო დიდოსტატი ელიზბარ უბილავა, გუნდის კაპიტანი – დავით ჯოჯუა. ნაკრები ამჟამად ბორჯომში ემზადება.

გივი გაგუა

◎ კალათბურთი

შენგელიას „ლაბორალ კუჩამ“ „ფენერბაჰჩე“ გაანადგურა

თორნიკე შენგელიას „ლაბორალ კუჩამ“ ევროლიგის ტოპ-16-ში უმნიშვნელოვანესი მატჩი მოიგო და პლეი-ოფის-კენ დიდი ნაბიჯი გადადგა. ბასკურმა კლუბმა ევროპული კალათბურთის ერთ-ერთ გრანდ სტამბოლის „ფენერბაჰჩეს“ ყველა მეოთხედი მოუგო და საბოლოოდ 93:76 გაანადგურა.



ქართველი კალათბურთელი სასტარტო ხუთეულში იყო და 21 წუთში 5 ქულა, 6 მოხსნა (2 შეტევაში) და 1 პასი მოაგროვა. თოკომ 4-დან 1 ორქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო, სამქულიანი ააცილა, ბურთი 2-ჯერ დაკარგა, ერთხელ დაუფარეს, 2 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინაალმდეგ კი 4-ჯერ დაჯარიმდნენ.

ისიც ვთქვათ, რომ ამ მატჩამდე შენგელიას ევროლიგაში ზედიზედ 24 საჯარიმო ჰქონდა ჩაგდებული, თურქულ გრანდთან კიდევ 3 ჩააგდო და სერია 27-ზე შეუწყდა.

მასპინძელთაგან 19 ქულით საუკეთესო მაიკლ ჯეიმსი იყო, დარიუს ადამსმა, ფაბიენ კოსიემ და ფერნანდო სან ემეტერიომ კი 15-15 ქულა ჩააგდეს.

ულკო ობრადოვიჩის მიერ დარიგებული „ფენერბაჰჩეს“ მხრიდან 10-ქულიან ზღვარს 3 კალათბურთელი ასცდა: ნემანია ბიელიცა (17 ქულა, 10 მოხსნა), იან ვესელი (13) და ბოგდან ბოგდანოვიჩი (11).

„ლაბორალ კუჩამ“ 7 მარტის წილ მე-6 გამარჯვება იზეიმა და F ჯგუფში მე-4 ადგილზე გადაინაცვლა, რაც პლეი-ოფში თამაშის უფლებას იძლევა.

საინტერესოა, რომ ბოლო ტურში, რომელიც 9 აპრილს შედგება, შენგელიას გუნდი ესპანურსავე „უნიკახას“ სტუმრობს, მისი უშუალო კონკურენტი „ანადოლუ ეფესი“ კი – ხსენებულ „ფენერბაჰჩეს“, ანუ ასევე თურქეთის წარმომადგენელს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ სანთელი

შოთა ზუკაკიშვილი



ორი წლის წინათ დაადგა მარადიულობისკენ გზას.

უპრეტენზიოდ იცხოვრა. არავის არაფერს სთხოვდა, თავად კი უხვად გაიღო ყველასათვის სიკეთე, სიყვარული, ადამიანურობა, ერთგულება და გამოცდილება.

მეორედ მოვიდა მისი საყვარელი აპრილი მის გარეშე. 4 აპრილი **შოთა ზუკაკიშვილის** დაბადების დღეა, რომელიც ბავშვივით უხაროდა.

ალბათ, მისტიკურია, აპრილშივე რომ გარდაიცვალა.

ყოველდღე ვიგონებთ მის რბილ ხასიათს, კეთილ და ალალ-მართალ გულს, ფანდურზე ნამღერსა და თამადობის მისეულ მანერას, რომლის მსგავსიც შემდეგ აღარსად გვსმენია.

ძველი მოჭიდავე და საქართველოში სამბოს ერთ-ერთი ფუძემდებელი საერთაშორისო სპორტულმა საზოგადოებამ მრავალი ჯილდოთი და სიგელით აღიარა და დააფასა. სარბიელზე მტყუანმართლის გარჩევაში ექსტრაკლასის არბიტრობა ეხმარებოდა.

ფიზიკურად უძლიერეს კაცს ისეთი მოსიყვარულე და ჩვილი გული ჰქონდა, რომ მეუღლის დაკარგვიდან 15 დღეში იმქვეყნადაც მასთან წავიდა.

დღეს მრავალრიცხოვან შთამომავლობასთან ერთად კიდევ ერთხელ მოვიგონებთ ღვაწლმოსილ, დამსახურებულ ადამიანს, რომელმაც კეთილ მოგონებებთან ერთად უდიდესი გულისტკივილი დაგვიტოვა და ალალად იარა ამქვეყნად.

ფალავანთა საძმო

◎ ფეხბურთი

ჟირუ და ვენგერი - მარტის საუკეთესონი

ლონდონის „არსენალის“ თავკაცი არსენ ვენგერი და მისი თანამემამულე, ფრანგი ფორვარდი ოლივიე ჟირუ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ პრემიერლიგის მარტის თვის საუკეთესო მწვრთნელად და ფეხბურთელად აღიარა.

გასულ თვეში „არსენალმა“ ინგლისის ჩემპიონატში 4 მატჩი ჩაატარა და ოთხივე მოიგო. შესაბამისად, ვენგერის ანგარიშზე 12 ქულაა. 28 წლის ფეხბურთელმა ოთხივე შეხვედრაში გაიტანა გოლი და საბოლოო ჯამში მეტოქე 5-ჯერ დაამწუხრა.

ფრანგმა შემტევმა ჰარი კეინსაც აჯობა. „ტოტენჰემის“ ახალგაზრდა თავდამსხმელმა მარტში 4 მატჩი ჩაატარა და 5 გოლი გაიტანა, მაგრამ ჟირუს აქტივში ერთი საგოლე გადაცემაც ჰქონდა. ამავდროულად, ინგლისელმა გოლების გატანა მხოლოდ ორ შეხვედრაში შეძლო.

საუკეთესო მწვრთნელთა და ფეხბურთელთა სია მიმდინარე სეზონში თვეების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

აგვისტო
მწვრთნელი: გარი მონქი („სუონსი“), **ფეხბურთელი:** დიეგო კოშტა („ჩელსი“).

სექტემბერი
მწვრთნელი: რონალდ კუმანი („საუთჰემპტონი“), **ფეხბურთელი:** გრაციანო პელე („საუთჰემპტონი“).

ოქტომბერი
მწვრთნელი: სემ ელერდაისი („ვესტ ჰემი“), **ფეხბურთელი:** დიავარა სახო („ვესტ ჰემი“).

ნოემბერი
მწვრთნელი: ალან პარდიუ („ნიუკასლი“), **ფეხბურთელი:** სერხიო აგუერო („მანჩესტერ სიტი“).

დეკემბერი
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი („მანჩესტერ სიტი“), **ფეხბურთელი:** ჩარლი ოსტინი („ქპრ“).

იანვარი
მწვრთნელი: რონალდ კუმანი („საუთჰემპტონი“), **ფეხბურთელი:** ჰარი კეინი („ტოტენჰემი“).

თებერვალი
მწვრთნელი: ტონი პულისი („ვესტ ბრომვიჩი“), **ფეხბურთელი:** ჰარი კეინი („ტოტენჰემი“).

მარტი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი („არსენალი“), **ფეხბურთელი:** ოლივიე ჟირუ („არსენალი“).

გიორგი შოთაძე

◎ ინტერნეტიდან

ადრიანა ლიმას რუსული ვოიაჟი

პოპულარულთა შორის უპოპულარესი ბრაზილიელი მოდელი ადრიანა ლიმა უკანასკნელი ერთი წელიწადია, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობს და ადგილობრივ ფოტოსტუდიებთან თანამშრომლობითა და თამამი ფოტოების გადაღებით გვარიან თანხასაც იჯიბავს.

დაახლოებით ერთი კვირის წინათ ეს ბრაზილიელი ლამაზმანი რუსეთის სიდიდით მეორე ქალაქს სანქტ-პეტერბურგს ეწვია და ადგილობრივ ბომონდსა და სრულიად „საპახმელიავეთს“ თავისი სილამაზე მოჰფინა. ერთი სიტყვით, ყველაფერმა კარგად ჩაიარა, რომ არა ადრიანასათვის გულსატკენი ერთი ფაქტი.

ლიმა, თურმე, წლებია, რაც პეტერბურგის „ზენიტის“ ბრაზილიელ მეგოლე ჰალკთან მეგობრობს და ძალიან სურდა მისი ნახვა, მაგრამ ადრიანას „ზენიტის“ მესვეურებმა შეუთვალეს, რომ ჰალკი და მისი თანაგუნდელები იმჟამად ქალაქში არ იმყოფებოდნენ. ამ ამბავს მავანმა ჟურნალისტებმა კი გამოაბეს „სათანადო კუდები“, მაგრამ ზოგჯერ მეგობრობა მხოლოდ მეგობრობაა და სხვა არაფერი.

როსტომ რაჭველიშვილი

მილოცვა

დედა, ბებია, მეგობარი

უფლის განგებით დედა თუ ადრე გარდაგეცვალა, ყოველთვის ახლო მეგობრების დედებში დაეძებ მის თვისებებს – სითბოს, სიყვარულს, მოფერების ნიჭსა და უნარს.

საკუთარი დედა ხომ ყველაზე ლამაზი, ყველაზე მზრუნველი და ყველაზე ალერსიანია...

დედას ვერავინ შეგიცვლის, მაგრამ, როცა მეგობრის დედა ცრემლიანი თვალებით შემოგხედავს, გაგამხნევებს და ყოველდღიურად მოგიკითხავს, გგონია, რომ საკუთარი დედაც გაგიცოცხლდა.

კარგა ხანია, ასეთი სითბოსა და სიყვარულის გამომხატველია ჩვენთვის მართლაც უკეთილშობილესი, სულითა და ხორცით ლამაზი ქალბატონი ეთერ მიქაშავიძე-ჩუბინიძისა.

იმერული ზრდილობით და ქართული ოჯახური ტრადიციებით, შესანატრი მოკრძალებით და პეწით გამორჩეული ეთერქალი ჩვენთვის დედაც არის, დეიდაც და უახლოესი მეგობარიც.

ორი შვილის, ექვსი შვილიშვილისა და ჯერჯერობით სამი შვილთაშვილის დედა და ბებია უკვე 85 წლისა გამხდარა, მაგრამ, ღვთის წყალობით ისევ სიცოცხლითა და სულიერი მშვენიერებით არის სავსე.

გულწრფელად გვიხარია, რომ ეთერ მიქაშავიძე და მისი სწორუპოვარი მეუღლე, ცხოვრების მთავარი მეგობარი ამირან ჩუბინიძე მზე და მთვარესავით შეაბერდნენ ერთმანეთს. დარწმუნებული ვართ, საუკუნოვან იუბილესაც ღირსეულად შეხვდებიან... მათი ლამაზი და ბედნიერი ოჯახის ქუდბედიანი დღევანდელობა ამის ნათელი დასტურია.

ოჯახის მეგობრების სახელით –
მანანა და სპარტაკ ქოგულიები

◎ ეკონომიკა

ახალი თავსაბჭეხი

საკანონმდებლო ცვლილებები სპეციალურად ავტობიზნესისთვის

რთულ მდგომარეობაში ჩავარდნილ საავტომობილო ბიზნესს სახელმწიფო დახმარებას სთავაზობს. მთავრობის ინიციატივა საკანონმდებლო ცვლილებებია, რომელიც „დროში გაჭედილ“ ავტოდილერებს ამოსუნთქვის საშუალებას მისცემს.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური მსუბუქი მანქანების ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, საგადასახადო კოდექსში საგადასახადო პროცედურების შეცვლასა და გამარტივებას გეგმავს. ამასთან დაკავშირებით პირველ აპრილს შემოსავლების სამსახურში ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილის, შემოსავლების სამსახურის უფროსის გიორგი თაბუაშვილის ხელმძღვანელობით ავტომობილების იმპორტიორებთან შეხვედრა გაიმართა.

შემოსავლების სამსახური მსუბუქი მანქანების ბიზნესის ხელშეწყობის გეგმაზე რამდენიმე თვეა მუშაობს, შესაბამისად, ჩამოყალიბდა ძირითადი ცვლილებების პროექტი. პროექტის თანახმად, საქართველოში 1 აპრილამდე შემოტანილი მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მფლობელი გათავისუფლდება კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმებისგან, თუ იგი მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყოფს მის გაფორმებას (გააიმპორტებს ან გაიყვანს რეექსპორტზე).

შემოსავლების სამსახურის შეფასებით, ავტოიმპორტიორებს ამ რეგულაციით სულ მცირე 1000 ლარით „გაუიაფდება“ მანქანა და საგრძნობლად გაიზრდება მისი გაყიდვის ალბათობაც.

საქართველოში ავტომანქანის საფასურის გარეშე ყოფნის 45-დღიანი ვადა გაიზრდება 60 დღემდე. ასევე გაუქმდება დაჯარიმება ამ ვადიდან 90 დღემდე გამოუცხადებლობაზე. ერთ-ერთი ცვლილების თანახმად, თუ იმპორტიორმა 90 დღის განმავლობაშიც ვერ მოახერხა გაყიდვა, მარტივდება საბაჟო საწყობის რეჟიმში ავტომობილის განთავსების პირობები. ამასთან, საბაჟო საწყობის გარდა, გავრცელდება სხვა ადგილებზეც (მაგალითად, ბაზრობაზე და სხვა).

ქართულ ბაზარზე მოქმედი ავტოდილერები შემცირებულ რეალიზაციაზე კარგა ხანია ალაპარაკდნენ. ანალოგიური მდგომარეობაა ავტოსერვისებშიც. მათი თქმით, ბოლო ერთი თვის განმავლობაში გაყიდვა მკვეთრად შემცირდა. ავტომობილების განვადების გამარტივებული აქციების მიუხედავად, მომხმარებლების მიზიდვას მაინც ვერ ახერხებენ.

კიდევ უფრო რთული სიტუაციაა მეორადი ავტომობილების ბაზრობაზე. გარდა იმისა, რომ ავტომანქანების ფასი შემცირდა, რეალიზაცია აქაც მკვეთრად დაეცა. ექსპერტების თქმით, ამ ყველაფერმა ქართულ ეკონომიკას საკმაოდ დიდი დარტყმა მიაყენა.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში მიხეილ დუნდუა აცხადებს, რომ რეექსპორტის ჩავარდნაზე გარკვეული გავლენა იქონია რუსეთ-უკრაინის კრიზისმა. ასევე, ლარის დევალვაციამ. რაც შეეხება ბაზარზე ავტომობილების გაიაფებას, ამ ფაქტს ექსპერტი რეექსპორტის შემცირებას უკავშირებს.

„ზოგადად, 2014 წლისთვის ავტომობილების რეექსპორტი შემცირდა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც აზერბაიჯანმა რეგულაცია გაამკაცრა. ავტომობილების ექსპორტის შემცირებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა 2014 წლის მთლიანი ექსპორტის შემცირებაში. 2014 წელს ადგილობრივი პროდუქციის ექსპორტი 1 000 275 დოლარით გაიზარდა. 2013 წელს ეს რიცხვი 1 000 215 დოლარი იყო, ხოლო 2012 წელს – 1 000 650 დოლარი. რეალურად, ექსპორტის კუთხით ჩავარდნა არ გვაქვს.

რა თქმა უნდა, ავტომობილების რეექსპორტის შემცირებამ გავლენა იქონია ჩვენს მძიმე ეკონომიკურ სიტუაციაზე. ასევე, რუსეთ-უკრაინის კრიზისმა და ლარის დევალვაციამ. ბუნებრივია, გაყიდვის შემცირებამ ამ ადამიანების შემოსავალს დიდი დარტყმა მიაყენა, რაც ქართულ ეკონომიკაზე უარყოფითად აისახა. ამ ბიზნესში ჩართულ ხალხს ძალიან გაუჭირდება, სანამ სხვა რამეს მოჰკიდებენ ხელს და შემოსავალი გაუჩნდებათ, თუმცა, ამას ჩვენ ვერ დავარეგულირებთ. ახლა მთავარია, თანდათან გადავეწყოთ ისეთი პროდუქციის წარმოებაზე და ექსპორტზე, რომელიც ჩვენი იქნება და არა – სხვისი“, – აღნიშნა მიხეილ დუნდუამ „ბიპი-ენთან“ საუბრისას.

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატებიდან და ევროპიდან იმპორტირებული მეორადი ავტომობილების გაყიდვა 30-50%-ითაა შემცირებული. პრობლემები აქვთ როგორც ავტოდილერებს, ასევე მანქანების შემოყვანით დაკავებულ კომპანიებს. მიზეზი ორია: ლარის კურსის ვარდნა და აზერბაიჯანული რეგულაციები.

გეძა დანელია

◎ ნატურიდან

ორიენტაცია

ქალაქში გაზაფხულის მზე მოძალებულიყო და ბარი ლუდის მოყვარულებით იყო გაძეძგილი. მაღალმა, მხრებში ოდნავ მოხრილმა ჟღალწვერა ახალგაზრდამ, რომელსაც კათხა ქაფქაფა ლუდით გაევსო, დარბაზს ზანტად გადახედა, რატომღაც თვალი განაპირა მაგიდასთან მჯდომი, ცხენის კუდივით თმაგამოსკვნილი მამაკაცისკენ გაექცა, ფიქრიანად რომ იჯდა, სიგარეტს ეაჩებოდა და ლუდს როგორღაც მოპარვით, დაგემოვნებით წრუპავდა.

– ვერაფერს დაუწუნებ, მშვენიერი ლუდია, – თქვა წრუპიას გასაგონად ჟღალწვერამ და ცხენისკუდას თვალებში გამომწვევად შეაცქერდა.

– ჰო, რო მომწონს, ამიტომ შემოვდივარ ასე ხშირად, – მიუგო საუბრის წამომწყებს.

– აქამდე რომ არ შემიმჩნევიხარ?

– რა შესამჩნევი მე ვარ, – მოისაწყლა თავი წრუპიამ.

– რას ამბობ, ინტელექტუალურად გამოიყურები, მოძრაობაც ძალზე დახვეწილი და სექსუალური გაქვს.

– კარგი ერთი, ნუ გამაწითლე. თუ ასეა, ერთმანეთი ხომ არ გაგვეცნო?

– დიდი სიამოვნებით, – გაიბადრა თანამოსაუბრე და ხელი გაუწოდა, – პლეხანოველი ანზორა.

– ვერელი გიგა, – თქვა მეორემ, თან წინადადება შესთავაზა, – გაცნობისა თითო ვისკი ხომ არ გადაგვეკრა?

– რატომაც არა, – დაეთანხმა ანზორა, – შენნაირ ბიჭთან ერთს კი არა, ორსაც სიამოვნებით გადავუძახებდი.

ვისკის შემდეგ საუბრის საღერღელი უფრო აეშალა, მალე ინტიმზეც გადავიდნენ.

– მეგობარი თუ გყავს? – დაინტერესდა გიგა?

– მყავდა, მაგრამ, საუბედუროდ, ამ ორი კვირის წინათ დავცილდით.

– რატომ, ხასიათები ვერ შეუწყვეთ?

– ჩვენ კი, მაგრამ კანონი გამოგვადგა უხასიათო, მისი გადამკიდე, ვინ გაგიჩერებდა?

– აა, ვერ იქორწინეთ?

– აბა რას გეუბნები, არადა, გადასარევი გარეგნობისა და ზნეობის ბიჭი იყო.

– მეც ზუსტად შენს დღეში ვარ, – ამოიოხრა გიგამ, – ჩემი ბიჭის დაკარგვის შემდეგ ლამის ჭკუიდან გადავიდე.

– ყველაფერი ხელისუფლების ბრალია, ძმაო, ეგენი მარტო იმაზე ფიქრობენ, ხელფასები და პრემია-დანამატები როგორ გაიზარდონ, ჩვენი საზოგადოების ზნეობრივი მოქალაქეების, ნაღდი სექსუალების ინტერესები კი ფეხებზე ჰკიდიათ.

– ჰო, რაც მართალია, მართალია, ძაან ჩემფეხება და გოიმი მთავრობა გვყავს.

– მთავრობა, თორემ, პარლამენტი ხომ ერთთავად ვარსკვლავების კრეფაშია. როგორც იქნა, კვნესა-კვნესით ძლივს მიიღო ანტიდისკრიმინაციული კანონი, მაგრამ რად გინდა, შიგ ერთსქესიანთა ქორწინებაზე სიტყვაც ვერ ჩაწერა.

– პირიქით, ვერ გაიგე, რომელიღაც ფრაქციამ რა მოითხოვა?

– რაო, რა გვინდაო?

– კანონში პირდაპირ ჩავწეროთ, რომ ყოველი მექორწინე წყვილიდან ერთი მაინც უეჭველად ქალი იყოსო!

– ფუი, მაგათი... – ხმამაღლა შეიკურთხა ანზორამ, – ამის შემდეგ რა უნდა ელაპარაკო მაგათ, დემოკრატებად მაინც არ მოჰქონდეთ თავი ამ ჩემანალებს.

– აბა კაცო, შარშან არ იყო, რომ გვემუქრებოდნენ, – აბა ერთი გაბედეთ გეიაღლუმის მოწყობა და ნახავთ რა ხურდასაც მიიღებთო...

– ხურდას ჩვენ კი არა, ეგენი იღებენ. ხო ხედავ, ჩვენს უფლებებს რო ლახავენ, ამიტომ ეუბნებიან უარს ნატოში და ევროკავშირში მიღებაზე.

– ღმერთო, შენ დაგვიფარე ამ უმეცრებისგან. შენ როგორ ფიქრობ, სამომავლოდ მაინც გვეშველება რამე?

– არაფერი, თუ ქვეყანაში ორიენტაცია არ შეიცვალა, არაფერიც არ გვეშველება.

– ორიენტაცია ხო იცვლება, ახლა ზოგი პოლიტიკოსი უკვე რუსეთისკენ იხრება.

– პოლიტიკური კი არა, სექსუალურ ორიენტაციაზე გეუბნები, სიმონ. თუ გვინდა ცივილიზებულ ქვეყანას დავემსგავსოთ, პარლამენტში უმრავლესობას მეოცნებენი კი არა, ჰომოსექსუალები უნდა შეადგენდნენ.

– ჰო მაგრამ, ხელისუფლებაში ხომ ახლაც საკმაოდ არიან ჩვენი წარმომადგენლები?

– არიან, მაგრამ საჩვენო ამინდს მაინც ვერ ქმნიან, როცა იქ უმრავლესობას მოვიპოვებთ, ქვეყანაში ნანატრ დემოკრატიასაც და მაღალ ზნეობას მაშინ მივაღწევთ.

– აგაშენა ღმერთმა, – მოიწონა აზრი გიგამ და ასადგომად გამზადებულ ანზორსაც მიაჩერდა.

– დაჯე, რა გეჩქარება?

– არა სასწრაფოდ უნდა მოვტყდე აქედან, დარბაზში ჯუმბერა გაიჩითა და ვეღარ გავჩერდები.

– ვინ ჯუმბერა?

– მეგობარყოფილი. შარშან მაგისგან მუცელი მომეშალა და ახლა მოსაკლავად დამდევს.

ოტია ჩართოლანი

ელიზბარ ლომინაძე, დემურ გადელია, ლაური მანაგაძე, კოტე ყიფიანი, პეტრე ბერაია, ნუგზარ რუხაძე, თემურ კალანდაძე, ბესო კილასონია, გურამ ყურაშვილი, ნოდარ ზაზაძე, გურამ გუნავა, ვანო ყულჯანიშვილი, ვახტანგ კიკნაძე, თენგიზ კალანდაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ფატი და ვიტალი ხაზარაძეებს დედისა და სიდედრის

გულნაზი ასათიანი-ნიჟარაძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მუზეუმის ღვაწლმოსილი თანამშრომლის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, თბილისის ისტორიის მკვლევარისა და საპატიო მოქალაქის, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილების ყოფილი გამგის, იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმის (ქარვასლა) ყოფილი დირექტორის

თეიმურაზ ბერიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

განცხადება

2015 წლის 27 აპრილს, 14 საათზე, თბილისში, ვაჟა-ფშაველას 43/1, შპს „ელიტა 2“-ის დარბაზში ტარდება თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის წარმომადგენელთა კრება.

◎ დღესასწაული

ბზობა და ბაიაობის კვირა

5 აპრილს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკ-ლესია ზეიმობს მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლას, რასაც ქრისტიანები ვუწოდებთ ბაიაობას, ანუ ბზობას. ეს არის დღესას-წაული, რომელიც ყოველთვის ემთხვევა ბრწყინვალე აღდგომის წინა კვირას.

...მაცხოვრის შესვლა იერუსალიმში ჰგავდა ძლევამოსილი მეფის სატახტო ქალაქში შესვლას. იერუსალიმისკენ მიმავალს, დიდებით მავალს, ხალხი სამოსელს უფენდა გზაზე, ზოგს კი პალმის (ბზის) რტოები ეკავა ხელში და ასე ეგებებოდა მაცხოვარს — ყოველი მხრიდან ისმოდა ღადადისი: „ოსანა ძესა დავითისსა, კურთხეულ არს მომავალ სახელითა უფლისაითა! ოსანა, რომელი ხარ მაღალ-თა შინა!“

იერუსალიმში მავალ იესო ქრისტეს თითოეული ჩვენგანი უნდა შეეგებოს სულიერად, სამოსლის ნაცვლად გული გაუფინოს კიც-ვზე მჯდომ მეუფეს, მხურვალე ლოცვა და თაყვანისცემა კი ბზის ტოტებივით მიართვას და ისე მიიღოს საკუთარ სულში უფალი, როგორც იერუსალიმში — აი, რას ითხოვს ღმერთი!

იერუსალიმში დიდებით შესვლით უფალმა მორწმუნეებს სიყ-ვარულის გამომჟღავნების საშუალება მისცა, ხოლო მტრებს — მისი შეცნობისა და სინანულით მოქცევისა.

* * *

ლაზარეს შაბათი

ქართველი ერი აქებს და განადიდებს თავის ენას ღვთის სადი-დებლად.

ქართველ ერს სწამს, რომ ღმერთი აკურთხებს მაკურთხეველთა მისთა, სჯერა, რომ ქართული ენა ღვთაებრივი ცეცხლისგან ან-თებული ჩირაღდანივით ნათლის მომფენიც იქნება და ბოროტების დამწველიც.

დღეს, 4 აპრილს ლაზარეს შაბათს ჩვენი მშობლიური ენის აღ-ნიშვნის დღეც არის და დღესასწაულიც, გილოცავთ სრულიად საქართველოს!

გიული ლიპარტია

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.

„საქართველოს რესპუბლიკაში“

299-62-77; 568 82-09-84..

სკანვორდი

„ყუთი ყეყეჩე-გისთვის
მაქნე სული
მთელი ეკიპაჟის მუშაობა გემზე
ჩასაბერი საკრავი
ფოტო-ფირმა
პატაკი
...ელიავა
ძვ. გერმანული სახელ-მწიფო
დატოტ-ვილ-რძეგიანი ირემი
მღრღნე-ლი ცხოველი
პრესტი-ჟული უნივერს-იტეტი
სოლიდო-ლი
ჯეიმს ბონდი პირველმა განასა-ხიერა
მოტო ველოსი-პედი
ცეკვის ხელოვ-ნება
დახეული ფეხსა-ცმელი
საფარი-კაო იარაღი
თამბაძო შეიცავს
ლაბორა-ტორიული ჭურჭელი
ამერი-კელი განგს-ტერი
...მერფი
ოქროს წმინდა წონა მონეტაში
გერძენი მოგზე-რალი ქალი
მითოლო-გიური ცალთვა-ლა დევი
...განდი
მარად-მწვანე მცენარე
ამერი-კელი მსახიობი
ოსტატუ-რად ფლობს მიმიკას
კახური ანეკდო-ტების გმირი
მსახიობი ბენ ...
ხილი
გაერთია-ნება
ეთიოპია — ...-აბება
თოვლის ჯიქი
ცეცხლმფ-რქველი გველეშაპი ეტნის ძვეშ
ფიქრი, შეხედუ-ლება
ფერმწერი ... გრეკო
ფრიგიის ვირის-ყურება მეფე
საფლავი
რაფაე-ლის გვარი
ალ. მაკე-დონელის მხედართ-მთავარი
ევროპის ქვეყანა
მიკრო-ძირურგი ივა ...
საზიარო ანუ ...
მსახიობი (მოქვ.)
სამკუთხა ია ლქანი გემზე
იაპონური საათების ფირმა
მავნე მწერი
სახელ-მწიფო აზიაში
ქართული გაზეთი
ნიწვო-ვანი ტყის ზოლი
ფაშისტ. გერმანიის სამხედრო დაზვერვა
უუტკრის სახლი
ქადრაკის ფიგურა
პირა-დობის მოწმობა
რომის პაპის თავსარ-ქმელი
სამსა-ხურში დაწინა-ურება
წინსვლა, აღმავ-ლობა

◎ კადრი

◎ ციცხალი ანეკდოტები

უიღბლობა ისაა, როცა ჯავშანჟილეტი გაცვია, მაგრამ ცხვირ-პირს გინაყავენ.

* * *

ნაღდად გინდათ ჭარბი წონის დაგდების ასპროცენტიანი რეცეპტის გაგება?

მაშ ასე: ბინას (ერთ ერთეულს) ვტვირთავთ იპოთეკით...

* * *

— **ძვირფასო** რედაქცია! გთხოვთ, გამაგებინეთ, ბოლოს და ბოლოს — თოვლის პაპა მართლა არსებობს თუ არა? თორემ დედიკო მეუბნება არსებობსო, ცოლი და შვილები კი დამცინიან!

* * *

— **ჭიჭიკია**, შენი ცოლი რაფერ გეიცანი?

— რაფერ და ავტობუსში თვალი ჩოუპაჭუნე, იმან კი მითხრა — ჭიჭიკია, იცოდე დღეის ამას იქით შენი ცოლი ვარო!

— მერე, შენ რა ქენი, ბიჭო?!

— რა ვქენი და... მაშვინ რამდენს ვეწეოდი, ხო გახსოვს? ჰოდა, მესამე გაჩერებაზე დემეწია — ვეღარ გევიქეცი მეტი!..

— **ბიჭო**, ჭიჭიკია რო დეიბადა, მამამისმა მთელ იმერეთში წეროები ამოწყვიტა!

* * *

ბიოლოგიის მასწავლებელი მიმართავს კლასს:

— შემდეგი გაკვეთილის თემაა „ადამიანის თავის ტვინის აგებულება“. რომ მოხვალთ, თან იქონიეთ ჩაქუჩი, საჭრისი, იოდი და ბინტი.

* * *

ატოინსპექტორი ქერთმიან ლამაზმანს მიმართავს.

— რატომ დადიხართ უნომროდ?

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს, მე ის ზეპირად მახსოვს!

* * *

ორი ქერათმიანი ტურფა არსება ლონდონში ორსართულიან ავტობუსში ადის, ერთი მათგანი მაშინვე მეორე სართულზე ადის და იქიდან გულგახეთქილი უყვირის დაქალს:

— არ ამოხვიდე, არ ამოხვიდე! აქ მძღოლი არ არის!

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24